საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 სექტემბერი ორშაბათი 2012 №226 (13 832) ფასი 80 თეთრი


## 14 ქულა



## ოლიმპიაკოსთან

## იტალიის სუპერთასი
## მარკოიშვილი
## სანიკიძე



- ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტად დაიმსახურა იტალიის სუპერთასი **მანუჩარ მარკოიშვილია.**

იგი მეოთხე წელია, „კანტუს" ნაწილია და დიდ როლს თამაშობს ჩვენს წარმატებაში. როცა ისე ხატავს, როგორც სუპერთასის მატჩში, მანუ პიკასოს მაგონებს, - თქვა „კანტუს" მწვრთნელმა **ანდრეა ტრინკიერიმ,** რომლის გუნდმა 2003 წლის შემდეგ პირველად მოიგო იტალიის სუპერთასი. სხვათა შორის, 2003-ში კანტუელებმა ბევრისთვის მოულოდნელად აჯობეს მაშინდელ ფავორიტ „ბენეტონს", რომლის ღირსებას სწორედ ახალგაზრდა მარკოიშვილი იცავდა.

შაბათს კანტუელებმა დაამარცხეს სიენის „მონტეპასკი" (80:73), რომელსაც სულ ერთი კვირაა შეუერთდა მანუს უახლოესი მეგობარი **ვიქტორ სანიკიძე**. აი, რა წერია სანიკიძის შესახებ გამოცემა „სიენაში": *„ვიქტორმა 17 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა, მარგი ქმედების კოეფიციენტი საოცარი ჰქონდა - 36. ქართველი ფორვარდი სუპერი იყო, ერთი თავით მაღლა იდგა თითოეულ სიენელზე. იგი მატჩის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდებოდა, მის გუნდს რომ მოეგო. სანიკიძეს ეს ჯილდო მისივე თანამემამულე მარკოიშვილმა წაართვა."*

იტალიურიდან ნათარგმნი ორი აბზაციდან ვღებულობთ იმაზე გაცილებით რეალისტურ სურათს, ვიდრე პიკასოს ნახატებზეა: იტალიის ორ საუკეთესო გუნდს შორის დაპირისპირებისას ერთი მხრიდან მანუჩარი იყო გამორჩეული, მეორე მხრიდან - ვიქტორი. აპენინურ მედიაში სუპერთასის მიმოხილვისას ისიც დაიწერა, რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს სანიკიძისა და მარკოიშვილის მონაწილეობით საქართველოს სუპერთასს ვადევნებდით თვალსო. კიდევ არაერთი სასიამოვნო ფრაზის ამოკითხვა შეიძლებოდა, რომლებზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას. მანამდე ქართველთა სრულ მონაგარსა და შეხვედრის მოკლე ქრონოლოგიას გავეცნოთ.

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# ლიდერ-ტყუპები

| დინამო | | ტორპედო |
|---|---|---|
| გოლი | 5 | გოლი |
| მოგება | | მოგება |
| ქულა | 15 | ქულა |




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



## ჯონ ტერი:
## THE ENGLEND

**ჯონ ტერიმ** ოფიციალური განცხადება გააკეთა საერთაშორისო კარიერის დასრულების შესახებ. "ჩელსის" კაპიტანს ეროვნულ გუნდში დებიუტი 2003 წელს ჰქონდა და მას მერე 78-ჯერ დაიცვა ქვეყნის ღირსება. კაპიტნის რანგში გუნდს ის 34-ჯერ გაუძღვა.




## რაიო-რეალი გადაიდო!

*იტალია და ესპანეთი, როგორც 90-იანი წლების საქართველო: მადრიდში ვილაცას კაბელი გადაუჭრია, კალიარის მუნიციპალიტეტმა რომაელები სტადიონზე არ შეუშვა*

6-7

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VI ტური

22.09. თბილისი. დინამო არენა
300 მაყურებელი

**დინამო (თბ) 5**

**ვიტ ჯორჯია 0**

1:0 ჩისკო (21), 2:0 ჩისკო (70. პენ.), 3:0 მერებაშვილი (76), 4:0 გ. კვარაცხელია (78), 5:0 მერებაშვილი (82)

| დინამო 4-3-3 | ვიტ ჯორჯია 5-4-1 |
|---|---|
| ზარქუა | ნ. დაუშვილი |
| სეთურიძე | ხურცილავა |
| გ. კვარაცხელია | კასრაძე |
| ხიზანეიშვილი | გეთიაშვილი |
| რეხვიაშვილი | გოგიაშვილი |
| ტვილდიანი | ლანიაშვილი |
| ალვარო | კორიფაძე |
| ძარია | ვასაძე |
| ჩისკო | გურეშიძე |
| დვალი | დავლაშელიძე |
| გლიშიჩი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი დ. უჰრინი | მწვრთნელი მ. კოჭლაშვილი |

**დინამო**

74. დვალი – **მერებაშვილი**
79. ჩისკო – **ვოსკობოინიკოვი**
81. ტვილდიანი – **ლექვთაძე**

სათადარიგოები: სეფიაშვილი, გველესიანი, ნ. კვეკვესკირი, ჯილაური

**ვიტ ჯორჯია**

57. დავლაშელიძე – **ზაქრაძე**
78. კასრაძე – **ლიბრაძე**
85. კორიფაძე – **გაბრიჭიძე**

სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, ჯავაშვილი, ჯულელი

გაფრთხილება: დავლაშელიძე (16), ხიზანეიშვილი (66), ვასაძე (70), გურეშიძე (89)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# სანახაობა ბოლო ოც წუთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩის წინ წუთიერი დუმილი უძღვოდა – ავტოკატასტროფაში ფიფას მსაჯის, **ლევან მიქელაძის** ოჯახის წევრები დაიღუპნენ...

შეხვედრა კი მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუმცა პირველ ტაიმში "ვიტ ჯორჯია" "დინამოსთვის" წინააღმდეგობის გაწევასაც ახერხებდა და რეალური საგოლე მომენტიც გაუშვა ხელიდან. თითქოს ვეტერინართა განადგურებას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს.

ტრავმირებული **გიორგი ლორიას** არყოფნაში "დინამოს" ესპანელმა **ჩისკომ** უკაპიტნა და ანგარიშიც მანვე გახსნა – საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა და ვიტელთა მეკარე ბურთს ვერ შესწვდა.

სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა ამის შემდეგაც **დუშან უჰრინის** გუნდის მხარეზე იყო, თუმცა "ვიტ ჯორჯიას" წონასწორობის აღდენა მაინც შეეძლო – 38-ე წუთზე **ბესიკ ჩიმაკაძემ** კარს ახლო მანძილიდან ააცილა.

"დინამომ" "ვიტ ჯორჯია" უშანსოდ 70-ე წუთზე დატოვა, როცა ჩისკომ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა და დუბლი გაიფორმა.

ამის შემდეგ უკვე სხვების ჯერი დადგა. **გიორგი მერებაშვილმა**, რომელსაც მოედანზე ამჯერად მხოლოდ 16 წუთის გატარებამ მოუწია, დროის ექვსწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა. მერებაშვილმა ორჯერვე საშუალო დისტანციიდან გაიტანა და საკმაოდ ეფექტურადაც, მაგრამ მატჩის ნამდვილი მშვენება **გივი კვარაცხელიას** გოლი იყო – "დინამოს" გამოცდილმა მცველმა "ვიტ ჯორჯიას" კარი "მაკრატელათი" დალაშქრა.

ასეთი ეფექტური გამარჯვებით დაიბრუნა საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ჩემპიონატის ლიდერობა, "ვიტ ჯორჯიასთვის" კი ხუთბურთიანი მარცხი მართალია, უსიამოვნოა, მაგრამ არც ტრაგედია უნდა იყოს – უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლ ვეტერინარებს ქულათა მარაგის შევსება, უპირველესად, უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში მართებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დინამოს შაბათს ჩისკომ უკაპიტნა და დუბლიც გაიფორმა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

22.09. ქუთაისი. ტორპედო
1500 მაყურებელი

**ტორპედო 5**

**დინამო (ბთ) 1**

1:0 შერგელაშვილი (2), 1:1 ჯორბენაძე (17), 2:1 საბანაძე (23), 3:1 კუხიანიძე (25), 4:1 ფანცულაია (72), 5:1 შერგელაშვილი (90)

| ტორპედო 4-4-2 | დინამო (ბთ) 4-5-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | გ. შენგელია |
| რიგვავა | ქორიძე |
| კვახაძე | ხუხია |
| გ. გურული | ზ. ლობჟანიძე |
| შერგელაშვილი | ი. კვეკვესკირი |
| გ. დათუნაიშვილი | ტიმჩიშინი |
| ფირცხალავა | ვ. თევდორაძე |
| დოლიძე | ბ. მახარაძე |
| კუხიანიძე | ბერიძე |
| ბერიაშვილი | აბუსელიძე |
| საბანაძე | ჯორბენაძე |
| მწვრთნელი გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი გ. გურული |

**ტორპედო**

65. დოლიძე – **ვ. ბოლქვაძე**
71. ბერიაშვილი – **ფანცულაია**
76. საბანაძე – **ტულუში**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, იოსელიანი, გიგაური*

**დინამო (ბთ)**

69. ბ. მახარაძე – **ა. მუჯირი**
69. აბუსელიძე – **ცნობილაძე**
70. ჯორბენაძე – **დიასამიძე**

სათადარიგოები: პიტსანი, სიჭინავა, გოგიტიძე, ბალაძე

გაფრთხილება: ხუხია (45)

არბიტრი: ჯ. ხორავა

# ზედიზედ მესამედ ოთხბურთიანი სხვაობით

"ტორპედო" მატჩის გამოკვეთილი ფავორიტი იყო და **გია გეგუჩაძის** გუნდმა ეს სტატუსი დამაჯერებლად დაამტკიცა. ქუთაისელთა უპირატესობა წამითაც არ იწვევდა ეჭვს და შეხვედრა კანონზომიერი შედეგით დასრულდა.

ანგარიში ახალგაზრდა ტორპედოელმა **ლაშა შერგელაშვილმა** მეორე წუთზე, ძალიან ეფექტური გოლით გახსნა – მან მახვილი კუთხიდან ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში გაახვია. მე-17 წუთზე ბათუმელებმა ანგარიში **მიხეილ ჯორბენაძის** გოლით გაათანაბრეს და წარმატების იმედიც გაუჩნდათ, მაგრამ სულ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და "ტორპედომ" საკუთარი უპირატესობის გოლებში ასახვა განაგრძო. ქუთაისელებმა პირველი ტაიმი ორბურთიანი უპირატესობით, **ნიკა საბანაძისა** და **გიორგი კუხიანიძის** გოლებით მოიგეს.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ანგარიშის გახსნის რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან, თუმცა მეტოქე მაინც გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს. შეცვლაზე შესულმა **გიორგი ფანცულაიამ** მაშინვე გაიტანა, მატჩის მიწურულს კი შერგელაშვილმა დუბლი შეასრულა.

"ტორპედომ" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო ოთხბურთიანი უპირატესობით და თბილისის "დინამოსთან" ერთად სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობს. ფაქტია, გეგუჩაძის გაახალგაზრდავების პოლიტიკა წარმატებით ამართლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლაშა შერგელაშვილმა დუბლი შეასრულა

ფოტო: www.fctorpedo.ge

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 |
| 2 | ტორპედო | 6 | 5 | 0 | 1 | 17 | 4 | 15 |
| 3 | ჩიხურა | 6 | 4 | 0 | 2 | 10 | 8 | 12 |
| 4 | მეტალურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 6 | 6 | 12 |
| 5 | მერანი | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 6 | ზუგდიდი | 6 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | ზესტაფონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5 | 4 | 7 |
| 8 | დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 7 | 7 |
| 9 | სიონი | 6 | 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 2 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 11 | კოლხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 12 | 2 |
| 12 | დინამო (ბთ) | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 |

*ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (დინამო) | 4 |
| ჩისკო (დინამო) | 4 |
| ჯიქია (სიონი) | 4 |
| ალვარო (დინამო) | 3 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 3 |
| ოდიკაძე (ჩიხურა) | 3 |
| საბანაძე (ტორპედო) | 3 |
| კუხიანიძე (ტორპედო) | 3 |

**VII ტური**

**26 სექტემბერი. ოთხშაბათი**

დინამო (ბთ)-მერანი
კოლხეთი-ტორპედო
დილა-მეტალურგი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
ჩიხურა-დინამო (თბ)
სიონი -ზუგდიდი

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

22.09. რუსთავი. ფოლადი
600 მაყურებელი

მეტალურგი **2**
კოლხეთი **1**

0:1 ცხვიტარია (21. გაბუნიას პასით), 1:1 სიხარულიძე (62. ჯაფარიძის პასით), 2:1 მიქაბერიძე (68. სიხარულიძის პასით).

| მეტალურგი 4-2-3-1 | კოლხეთი 4-5-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | ა. მიქაბერიძე |
| ჯაფარიძე | ზ. ჩხეტიანი |
| მახვილაძე | ცხვიტარია |
| გავაშელიშვილი | ფარულავა |
| სუხიაშვილი | გაბუნია |
| რაზმაძე | გოგონაია |
| თექთურმანიძე | ცხადაია |
| გ. მიქაბერიძე | დათუნაიშვილი |
| დობროვოლსკი | აფხაზავა |
| მაისურაძე | ქებაძე |
| ტატანაშვილი | პავლიაშვილი |
| მწვრთნელი: კ. ჟორჟიკაშვილი | მწვრთნელი: დ. მახარაძე |

**მეტალურგი**

56. დობროვოლსკი - **სიხარულიძე**
64. თექთურმანიძე - **გენაძე**
76. მიქაბერიძე - **ქავთარაძე**

სათადარიგოები: ბედიაშვილი, განუგრავა, დ. ჯანელიძე, ინწკირველი.

**კოლხეთი**

56. აფხაზავა - **კობერიძე**
64. პავლიაშვილი - **კვანტალიანი**
86. ცხადაია - **ლუჟაშვილი**

სათადარიგოები: ხარშილაძე, გ. კილასონია, კრასოვსკი, ხომასურიძე

გაფრთხილება: ჩხეტიანი (27), ცხადაია (33), გავაშელიშვილი (67), მიქაბერიძე (71)

არბიტრი: ბ. ნინუა

# განსხვავებული ტაიმები

„მეტალურგმა" ფოთის „კოლხეთთან" ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარა. პირველ ნახევარში რუსთაველები მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდნენ. თუმცა ორჯერ სახიფათოდ შეუტიეს: მე-13 წუთზე **ლუკა რაზმაძემ** საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა და ფოთელთა მეკარე **არდალიონ მიქაბერიძემ** საიმედოდ ითამაშა.

23-ე წუთზე **გიორგი თექთურმანიძის** საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს **დიმიტრი ტატანაშვილი** ვერ შეწვდა – არადა, კარის წინ მარტო იყო.

"კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის **დავით მახარაძის** გაწვრთნილები დაცვაში საიმედოდ თამაშობდნენ და ზოგჯერ მწვავედაც უტევდნენ: შორი მანძილიდან სახიფათოდ **ომარ გოგონაიამ** დაარტყა – ტრავმირებული ხორვატი მეკარე **ივან ჰოსმანის** შემცვლელმა **ზურა ბათიაშვილმა** მშვენიერი რეაქცია გამოავლინა.

სამაგიეროდ, შედეგიანი გამოდგა სტუმართა მიერ 21-ე წუთზე წამოწყებული შეტევა: კუთხურიდან **ჯემალ გაბუნიას** ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში **პაატა ცხვიტარიამ** "მეტალურგის" მცველებს დაასწრო და კარის ხაზზე ჩამწკრივებულ მოთამაშეთა შორის თავით ისეთი სიზუსტით გააგზავნა, ბილიარდის კარგ მოთამაშეს რომ ეხერხება – 0:1.

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ „მეტალურგს" სეზონში მეორე საშინაო გამარჯვების მოპოვება გაუჭირდებოდა. წინა 3 საშინაო შეხვედრაში ხომ "მეტალურგმა" მხოლოდ ერთხელ, მარტვილის "მერანთან" მოიგო.

შესვენების შემდეგ "მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** საყრდენი ნახევარმცველი **დენის დობროვოსკი** თავდამსხმელ **ირაკლი სიხარულიძით** შეცვალა, რუსთაველებმა ორი ფორვარდით შეუტიეს და ბევრად უფრო აზრიანი, სწრაფი და მწვავე შეტევების განხორციელებაც შეძლეს.



ირაკლი სიხარულიძემ თავი გოლით და საგოლე პასით გამოიჩინა

რეალური საგოლე მომენტები ჰქონდათ გიორგი მიქაბერიძეს, ლუკა რაზმაძეს, მწვავე გამოდგა გიორგი თექთურმანიძის გარღვევაც, მაგრამ გოლი მხოლოდ 62-ე წუთზე გავიდა: მარჯვენა ფლანგიდან **ლაშა ჯაფარიძის** ჩაწოდებული ბურთი ირაკლი სიხარულიძემ ფეხით ახლო კუთხეში გააგზავნა, ბურთი ერთ-ერთ მცველს შეეხო და ბადეში აღმოჩნდა.

მალე რუსთაველები დაწინაურდნენ: **ირაკლი მაისურაძემ** და **ირაკლი სიხარულიძემ** საჯარიმოში ბურთი სწრაფად გაითამაშეს, ამ უკანასკნელმა საჯარიმოს ხაზთან **გიორგი მიქაბერიძე** მოძებნა, რომელმაც კოლხთა მოგვარე მეკარეს მოქრილად ზუსტად დაურტყა - 2:1.

ორიოდე წუთში "მეტალურგს" სხვაობის გაზრდის რეალური საშუალება მიეცა: მეკარესთან პირისპირ სიხარულიძე დარჩა, რომელმაც ფოთელთა მეკარეს ვერ აჯობა, დამატებაზე კი ვერც ტატანაშვილმა და თექთურმანიძემ ივარგეს.

არდალიონ მიქაბერიძემ **რევაზ გეჭაძის** ძლიერი დარტყმის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაარჩინა სტუმრები, რომლებმაც რუსთავში [illegible] რობის შემდეგ ჩაალწიეს და მატჩის მინურულს აშკარად დაეტყოთ დაღლილობა. მათ ერთად-ერთხელ გაიბრძოლეს, როდესაც **პავლე დათუნაიშვილმა** საჯარიმოდან სცადა კარის აღება, მაგრამ ბათიაშვილს ვერაფერი მოუხერხა.

**მატჩის შემდეგ**

**დავით მახარაძე:** *„ჩვენ დღეს რთულ მდგომარეობაში ვართ. წინა სეზონის შემდეგ 9 მოთამაშემ დაგვტოვა, რაც ძალიან დაგვეტყო. ალბათ, უმაღლეს ლიგაში ყველაზე მწირი ბიუჯეტი "კოლხეთს" აქვს და შედეგებზე ეს დიდ გავლენას ახდენს. დღეს გოლი გავიტანეთ, ვიგებდით და ქულის მოპოვებაც შეგვეძლო, მაგრამ პირველი გოლი რიკოშეტით გავუშვით და ავირიეთ. სამწუხაროდ, წინა თამაშების მსგავსად, ფიზიკურმა კონდიციებმა მეორე ნახევარში ამჯერადაც დაგვალალატა. მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და ვეცდებით, ვითარება გამოვასწოროთ".*

**კობა ჟორჟიკაშვილი:** *„ფოთის „კოლხეთი" უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა და მატჩამდე ფეხბურთელებს კონცენტრაციის აუცილებლობაზე ვაფრთხილებდი. მაგრამ ფოთელებმა პირველი გოლი მაინც გაგვიტანეს და რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. საბედნიეროდ, ბრძოლისუნარიანობა გამოვავლინეთ და თამაშიც შემოვატრიალეთ. ამის მიუხედავად, მაინც გავამახვილებ ყურადღებას საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალ მაჩვენებელზე. ბევრი მომენტიდან მხოლოდ ორით ვისარგებლეთ".*

**მერაბ მამულაშვილი**
რუსთავი-თბილისი

---

22.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1200 მაყურებელი

ზესტაფონი **0**
დილა **1**

0:1 კახელიშვილი (81.კლიმიაშვილის პასით)

გამოუყენებელი პენალტი: გურული (54)

| ზესტაფონი 4-2-3-1 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | სკენდერი |
| თორ.გრიგალაშვილი | შონიაშვილი |
| კაჭკაჭიშვილი | სალუქვაძე |
| კობახიძე | თომაშვილი |
| ელიავა | კვირკველია |
| მენთეშაშვილი | არზიანი |
| შარიქაძე | ბეჟვაია |
| აფციაური | კახელიშვილი |
| ბაბუნაშვილი | ს. გურული |
| რაჟამაშვილი | გოგუა |
| წინამძღვრიშვილი | მოდებაძე |
| მწვრთნელი დ. მუჯირი | მწვრთნელი გ. დარასელია |

**ზესტაფონი**

84. ბაბუნაშვილი- **დ. მუჯირი**
84. რაჟამაშვილი- **სარდალიშვილი**

სათადარიგოები: მამალაძე, შარვაძე, სამუშია, გაგოშიძე, ჭანტურიშვილი

**დილა**

59. არზიანი- **კლიმიაშვილი**
68. მოდებაძე- **ახალკაცი**
88. სალუქვაძე- **გ. ონიანი**

სათადარიგოები: შეყრილაძე, კაშია, ნ. ჯიშკარიანი, კაციტაძე

გაფრთხილება: ელიავა (53), გოგუა (65)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

# ვისთვის დილა, ვისთვის ღამე

## რა გვეფეხბურთებოდაო!

ამ დღეებში ნაჩვენებმა პატიმრების წამების შემზარავმა კადრებმა მთელი ქვეყანა შეძრა და ალაშფოთა. გაოგნებულ ხალხს ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნება უჭირს და ალბათ, ამის გამოძახილი იყო ისიც, რომ მოქმედი ჩემპიონისა და თასის მფლობელის დაპირისპირებას ზესტაფონში უჩვეულოდ მცირე რაოდენობის მაყურებელი დაესწრო. ნამატჩევს ზესტაფონელთა თანამწვრთნელმა **დავით მუჯირმა** აღნიშნა, უპრიანი იქნებოდა ფედერაციას ტური გადაედოო: *„რთული იყო ასეთ ვითარებაში ფეხბურთზე გვეფიქრა და მატჩისთვის ნორმალურად მოვმზადებულიყავით. ვუერთდებით საზოგადოების პროტესტს და ვიმედოვნებთ, რომ ამ არაადამიანობის ჩამდენები სათანადოდ დაისჯებიან. ფედერაციის სუბიექტი ვართ და პროტესტის მიუხედავად თამაშზე უარის თქმა არ შეგვეძლო".* არადა, ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის პრინციპული და სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო.

**მუჯირი-ზამთარაძის** მწვრთნელთა დუეტი საშინაო კედლებში ,,ზესტაფონს" პირველად უძღვებოდა და ფეროელები მოსაგებად იყვნენ შემართულნი, მაგრამ... მართალია, იმერული გუნდი ისევ მაღალ მიზნებზეა ორიენტირებული, მაგრამ თუ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას მნიშვნელოვნად არ გაძლიერდა, ამ რესურსით ძალზედ გაუჭირდება თუნდაც სამეულში მოხვედრა. სანამ მატჩის მიმდინარეობაზე გადავალთ, ერთ სამწუხარო ამბავზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ახლო წარსულში ცნობილ მსაჯს **ლევან მიქელაძეს** ავტოავარიაში ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაეღუპა. სტადიონზე შეკრებილმა საზოგადოებამ შეხვედრის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

მატჩის პირველი ნახევარი საკმაოდ ულიმლამო ბურთაობაში წარიმართა. გარკვეულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, კარის მიმართულებით პირველად სწორედ მათ დაარტყეს, მაგრამ **გიორგი კახელიშვილის** გარჯა უშედეგო გამოდგა, საჯარიმოს გარედან მის დარტყმულ ბურთს **როინ კვასხვაძე** გადაეღობა. ზესტაფონელთა პირველი სახიფათო მომენტი **თორნიკე გრიგალაშვილის** აქტიურობას მოჰყვა, მისი ჩაწოდების შემდეგ **რაჟამაშვილი** ურტყამდა თავით, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. რამდენიმე წუთში სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით **შარიქაძემ** ვერ ისარგებლა, რომლის დარტყმასაც მცველი გადაეღობა. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. გორელები ფლანგიდან ფლანგზე გრძივი გადაცემებითა და ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობდნენ მასპინძელთა დაცვის გარღვევას. ერთ ეპიზოდში **გოგოტა გოგუამ** ითამაშა კარგად, საჯარიმოში შეაღწია და დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთს ზესტაფონელთა ახალგაზრდა მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი** გადაეღობა. სტუმრების



ფოტო: fcdila.ge

ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, პირველი ტაიმის მოგება ზესტაფონელებს შეეძლოთ. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მათ რეალური საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. მარჯვენა ფრთაზე კვლავ გაილაღა თორნიკე გრიგალაშვილმა და კარისკენ გამჭოლი გადაცემა გააკეთა, **რატი წინამძღვრიშვილმა** ბურთს ოდნავ შეუცვალა მიმართულება და საპირისპირო ძელისკენ გაუშვა, სადაც დასწრებაზე რაჟამაშვილმა დააგვიანა.

შეხვედრის მეორე ნახევარი გაცილებით უფრო სანახაობრივი გამოდგა. ზესტაფონელებმა დებიუტში კარგი სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ შარიქაძემ ძალიან სუსტად დაარტყა და **მარიან სკენდერს** არ გასჭირვებია ბურთის მოგერიება. გორელებმა კი გოლის გატანის 100%-იანი შანსი გაუშვეს ხელიდან. **ზაალ ელიავამ** საკუთარ საჯარიმოში კახელიშვილი წააქცია და ახალგაზრდა არბიტრმა **გოგა კიკაჩეიშვილმა** უყოყმანოდ თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. **სანდრო გურულმა** კვასხვაძე კი მოატყუა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ამასობაში, სტუმართა თავკაცმა **გიორგი დარასელიამ** შეცვლებს მიმართა და ცვლილებებმაც აშკარად გაამართლა, განსაკუთრებით **ირაკლი კლიმიაშვილის** აქტიურობაა აღსანიშნავი, რომელმაც რამდენჯერმე მწვავედ დაარტყა კვასხვაძის კარის მიმართულებით, მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი საგოლე გადაცემაც მიითვალა. სწორედ მარჯვენა ფლანგზე მის აქტიურობასა და გადაცემას მოჰყვა კახელიშვილის დარტყმა, რომლის შემდეგაც ბურთი ელიავას მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ზესტაფონელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. მასპინძლებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მოედანზე **სარდალიშვილთან** ერთად თავად გუნდის მწვრთნელი მუჯირიც გამოვიდა. ბოლო წუთებმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა. ჯერ რაჟამაშვილმა და გოგუამ გაცვალეს მომენტები, შემდეგ კლიმიაშვილის კარგი გადაცემით ახალკაცს მართებდა ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ზესტაფონელები კვასხვაძემ იხსნა. ბოლოს კი მუჯირის ჯარიმას მოჰყვა სტუმართა კართან არეულობა, თუმცა ფეროელებმა კარში დარტყმა და ქულის გადარჩენა ველარ მოახერხეს.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი დარასელია:** ,,მოლოდინისამებრ ძალიან რთული თამაში იყო. პირველ ტაიმში მეტოქე გვჯობდა, მაგრამ მეორე ნახევარში გავაქტიურდით და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ".

**დავით მუჯირი:** "ასეთ ემოციურ ფონზე მატჩისთვის ვერ განვეწყვეთ, თანაც საკადრო პრობლემებიც დაგვერთო, გამოგვაკლდა ახალგაზრდა ფორვარდი კვერნაძე, რის გამოც წინამძღვრიშვილის დაბრუნება მოგვიხდა. მატჩის მსვლელობისას იძულებული გავხდი თამაშში მეც ჩავრთულიყავი, ბოლო პერიოდში ,,ზესტაფონში ყველაფერი სპონტანურად ხდება და წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვი, თუ გუნდს მინდორზე ჩემი დახმარება კვლავ დასჭირდება მე მის სამსახურში ვიქნები."

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VI ტური

# ზუგდიდი: ჯგირიე! უჯგირიე!

## სასიცოცხლო მნიშვნელობის სომხიშვილი

22.09. განმუხური. ცენტრალური
1000 მაყურებელი

ზუგდიდი 4
ჩიხურა 2

0:1 ლომაშვილი (19), 0:2 კვასხვაძე (34), 1:2 ქობალია (37), 2:2 გაბედავა (43), 3:2 ქობალია (62), 4:2 ლომია (85, ეხვაიას პასით)

| ზუგდიდი 4-3-3 | ჩიხურა 4-4-1-1 |
|---|---|
| ძაგანია | მწყერაშვილი |
| ფოფხაძე | ოდიკაძე |
| ს. თოდუა | ლ. ჭელიძე |
| გამეზარდაშვილი | გუშარაშვილი |
| აკობია | ქიმაძე |
| ტყემალაძე | დილმელაშვილი |
| სიხარულია | ლომაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | კირკიტაძე |
| გაბედავა | დეკანოიძე |
| წურწუმია | ნ. კვასხვაძე |
| ქობალია | გოცირიძე |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი ს.ფრუიძე |

**ზუგდიდი**

65. გაბედავა - **ფარჯიკია**
81. ბოლქვაძე - **ეხვაია**
81. ქობალია – **შ. ლომია**

სათადარიგო: **მაქაცარია, რ. ონიანი, აფაქიძე, ნ. შონია**

**ჩიხურა**

67. დილმელაშვილი - **ბაკურაძე**
67. დეკანოიძე- **გ. ჩხეტიანი**
77. ოდიკაძე- ნ. მაისურაძე

სათადარიგო: **შერმადინი, ძამსაშვილი, მურველაშვილი, საჯაია**

გაფრთხილება: **წურწუმია (49), ნ. კვასხვაძე (80)**

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

ზუგდიდი პოლიტიკურ ქარცეცხლში იყო გახვეული, ქალაქში მისასვლელთან კი საცობი აფერხებდა მოძრაობას. ზუგდიდში მიტინგი უნდა გამართულიყო. თითქოს ფეხბურთისთვის არავის ეცალა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ავტობუსები კვლავაც გამოყო ზუგდიდელი გულშემატკივრებისთვის განმუხურში თამაშზე წასასვლელად.

ზუგდიდში მითხრეს, ავტობუსები თამაშამდე ერთი საათით ადრე გადიან ხოლმე განმუხურში, მაგრამ დღეს მიტინგია და მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ავტობუსები ორი საათით ადრე დაიძრნენ.

ზუგდიდიდან განმუხურში ჩასვა იოლი არ არის, არაკომფორტული „მარშრუტკები“ გადატენილია და ხშირად არ დადიან, ტაქსი კიდევ იაფი ვერ იქნება. ამიტომაც, ქალაქის ხელმძღვანელობას რომ დაჰყავს გულშემატკივარი განმუხურში და აქეთ, ძალიან კარგია.

ცუდი კი ის არის, რომ ფეხბურთი ძალიან პოლიტიზირებული გახდა და მიტინგმა ავტობუსების გასვლის დრო შეცვალა.

ანაკლიადან განმუხურში მისასვლელი გზა პოლიციელებმა გადაკეტეს. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობდა, ანაკლიაში ქვეყნის პრეზიდენტია ჩამოსული და გზაც ამიტომ გადაიკეტაო. განმუხურამდე შემოვლითი გზით მივედი. კოხტა სასტუმროებმა, ენგურისა და ზღვის შესართავთან გადებულმა ხიდმა თვალი მომჭრა.

სტადიონის ერთი ტრიბუნა თითქმის სავსე იყო "ზუგდიდის" გულშემატკივრებით. წესრიგს ხელკეტიანი პოლიცია იცავდა. მოპირდაპირე მხარეს, მომცრო ტრიბუნაზე "ჩიხურას" გულშემატკივრები იყვნენ. სტადიონს ბობოქრობა არ აკლდა.

მატჩის დასაწყისი "ჩიხურასი" გამოდგა. **ვაჟა ლომაშვილმა** ზუგდიდელთა მცველების უხეში შეცდომით კარგად ისარგებლა და საჩხერული გუნდიც დაწინაურდა. კარგი ბურთაობა გაჩაღდა, "ჩიხურა" დაცვაში არ ჩაჯდა, "ზუგდიდმა" ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწია- თვალსასეირო ფეხბურთი იყო.

"ჩიხურამ" ერთხელაც გაისროლა: **ნიკა კვასხვაძემ** რამდენიმე მეტრი ბურთიანად ჩაიქროლა და არცთუ ახლო მანძილიდან დაბალი, ზუსტი დარტყმით სტუმართა უპირატესობა გაზარდა.

"ზუგდიდის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორმა გაშვებულმა გოლმა ოდნავაც არ დააბნია, შლეგად შეუტია და საწადელსაც მიაღწია. ჯერ იყო და, **გიორგი გაბედავას** ჩაწოდების შედეგად მეკარის ბაქანთან შექმნილი არეულობითა და "ჩიხურას" ცენტრალური მცველების უნიათობით **ირაკლი ქობალიამ** ისარგებლა - 1:2. მერე კი გაბედავამ საჯარიმო მოედნის კუთხედან ისეთი დაარტყა, რომ "ჩიხურას" მეკარე **ზურა მწყერაშვილს** რეაქციის გაკეთებაც კი გაუძნელდა.

სანამ "ჩიხურა" მეორე გოლს გაუშვებდა, კვასხვაძემ ერთხელაც სცადა ოციოდე მეტრიდან გატანა და მიზანს ააცილა, **ბესიკ დეკანოიძის** მცდელობა კი **ლაშა ძაგანიამ** გააუვნებლა.

შესვენების შემდეგ მოედანზე ერთი გუნდილა დარჩა. "ზუგდიდს" ალბათ უფრო სწყუროდა გამარჯვება, ვიდრე მის მოწინაალმდეგეს. მასპინძლები კიდევ უფრო აგრესიულად ათამაშდნენ, უფრო მეტს და უფრო კარგად მოძრაობდნენ. კვასხვაძე და **დავით კირკიტაძე** ვითომ არ ასვენებდნენ "ზუგდიდის" დაცვას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ "ჩიხურას" მეორე ტაიმშიც გაეწია სრულფასოვანი მეტოქეობა ზუგდიდისთვის.

ქობალიამ გათამაშებული ჯარიმიდან, ოცდახუთიოდე მეტრიდან გაიტანა და ცხადი გახდა, რომ "ჩიხურა" თამაშის შემომბრუნებელი აღარ იყო. "ზუგდიდმა" დროულად შეუშვა მინდორზე **შოთა ლომია**, რომელიც სხარტი და ტექნიკურია. ლომიას შესვლამ კიდევ უფრო არივ-დარია "ჩიხურას" დაცვა. გოლიც მოხდენილი გამოუვიდა ლომიას - იოლად მოატყუა მეკარე და ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი.

"ჯგირე"! "უჯგირიე"! გულშემატკივრების ასეთი შეძახილები "ზუგდიდის" ფეხბურთელებმა მართლაც დაიმსახურეს.

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი:** "შეხვედრა თავიდანვე დაძაბული გამოდგა. "ჩიხურა" ლიდერებში აღმოჩნდა და სატურნირო მდგომარეობაც აიძულებდა წარმატებულ თამაშს. კარგად დაბალანსებული გუნდია, პირველი ლიგიდან ახლახან გადმოვიდა და ეს სეზონიც რიხით დაიწყო. ჩვენ პირველი ნახევარი საათი ხარისხიანად ვერ ვითამაშეთ, ორი გოლი გავუშვით, თუმცა "ზუგდიდის" ფეხბურთელები არ შედრკნენ და პირველივე ტაიმში მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. მეორე ტაიმი კი უკვე ჩვენი აშკარა უპირატესობით წარიმართა.

**სოსო ფრუიძე:** "კარგ გუნდად მოგვნათლეს სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა და ჩვენც ასეთი იმიჯის განმტკიცება გვჭირდებოდა. მარცხს არავის არ ვაბრალებ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, როცა ორი ბურთით იგებ, ასეთი რამ არ უნდა დაგემართოს. "ჩიხურაში" რამდენიმე ფეხბურთელს უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება ჯერ არ ყოფნის. მოწინაალმდეგემ თავდადების და მეტი მოძრაობის ხარჯზე მოგვიგო.

**- "ჩიხურას" დისკვალიფიცირებული მეკარე, გიორგი სომხიშვილი აკლდა და რამდენად განაპირობა ამ დანაკლისმა შეხვედრის შედეგი?**

- ეს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობის დანაკლისი აღმოჩნდა. სომხიშვილი ისეთი პიროვნებაა, მოედანზე კარნახით თანაგუნდელების მობილიზება რომ შეუძლია. გუნდში მეკარე რომ იცვლება, შიში ჩნდება. კარგ გუნდში ასე არ უნდა ხდებოდეს..."

**დავით თავართქილაძე**
განმუხურიდან

22.09. მარტვილი. ცენტრალური
700 მაყურებელი

მერანი 1
სიონი 0

1:0 ნოზაძე (89)

| მერანი 4-3-3 | სიონი 4-4-2 |
|---|---|
| შეროზია | ბობღიაშვილი |
| მჭედლიშვილი | ორბელაძე |
| იობაშვილი | სვანიძე |
| გ. ჟვანია | ქემოკლიძე |
| ქარქუზაშვილი | ჩიკვილაძე |
| დიდავა | ჯოჯუა |
| ფონიავა | გ. ოქროპირიძე |
| ამბროლაძე | ჭედია |
| ტორონჯაძე | ჭანტურიძე |
| რეხვიაშვილი | თარხნიშვილი |
| ს. ლომია | უგულავა |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: ა. ჯელაძე |

**მერანი**

60. გ. ჟვანია - **გეგეჭკორი**
68. ტორონჯაძე - **ნ. ნოზაძე**
76. რეხვიაშვილი - **მელიავა**

სათადარიგოები: **ბერია ,ბ. ჩხეტიანი, ბუკია, კუჭუხიძე**

**სიონი**

67. გ. ოქროპირიძე- **ლომაია**
80. უგულავა- **ჯიქია**

სათადარიგოები: **ვ. ლობჟანიძე, ისიანი, ხურციძე, ნემსაძე, ფეიქრიშვილი**

გაფრთხილება: **ქემოკლიძე (40), ჯოჯუა (61), ქარქუზაშვილი (81)ჩიკვილაძე (86), ფონიავა (90)**

არბიტრი: ლ. სილაგავა

# რჩება: მერანი გამარჯვებული, მიდის: სიონი დამარცხებული

ზედიზედ მესამე საშინაო მატჩია, "მერანი" მინიმალური სხვაობით ამარცხებს მეტოქეებს. "მერანიც" და "სიონიც" უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის იბრძვიან, ამიტომაც მათთვის თითოეული ქულა ძალიან მნიშვნელოვანია. და მაინც, აღნიშნული დაპირისპირება მარტვილელთათვის უფრო საპასუხისმგებლო იყო, მათ ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ, საკუთარი გულშემატკივართათვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ ყოველივე შემთხვევითობაა და კრიზისზე საუბარი უადგილოა. ფაქტია, რომ **მალხაზ ჟვანია** ჯერაც ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია. პრობლემა "სიონსაც" ჰქონდა: დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა ექსმერანელმა **გიორგი მანწკავამ.**

უშუალოდ შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, საწყის წუთებში ორივე გუნდი ცდილობდა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მოპოვებას. პირველი სახიფათო მომენტი მერანელებმა შექმნეს: **მამუკა ტორონჯაძისა** და **გიორგი რეხვიაშვილის** დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია.

ამასობაში სტუმრებიც გამოცოცხლდნენ: **გიორგი ჭანკოტაძემ** ორჯერ გაისროლა მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით. პირველ ეპიზოდში მას მეკარემ აჯობა, მოგვიანებით კი დარტყმა არ გამოუვიდა ზუსტი. 24-ე წუთზე ბოლნისელთა მორიგი კონტრშეტევისას **გიორგი ჭედიასა** და **გიორგი მჭედლიშვილის** ორთაბრძოლა "მერანის" საჯარიმოში, პენალტით დასრულდა: ყველასგან მოულოდნელად ბურთთან სტუმართა კარის დარაჯი **მინდია ბობღიაშვილი** მივიდა, რომლის დარტყმული ჩინებულ ნახტომში **ჯონი შეროზიამ** მოიგერია.

ამით მასპინძლებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს. შესვენებამდე ძირითადად ისინი დომინირებდნენ მოედანზე: რეხვიაშვილის მარცხენა ფლანგზე გაკეთებულ გამჭოლ გადაცემას **ფონიავა** გამოეხმაურა, რომელმაც დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან, ბურთი კარს ააცილა. აქვე იყო **გივი დიდავას** მახვილი კუთხიდან ეშმაკურად დარტყმული, რომელიც მეკარემ მოიგერია. გოლის გატანის რეალური შანსი ქარს გაატანეს უკვე ნახსენებმა რეხვიაშვილმა და პაპუნა ფონიავამ, ამ უკანასკნელის არცთუ ძლიერად შესრულებული საჯარიმო დარტყმა ბობღიაშვილს ხელიდან გაუვარდა, თუმცა შეცდომა ბოლო წამს გამოასწორა, როდესაც ბურთს ზედ კარის ხაზთან წამოეწია.

ტემპი არც მეორე ტაიმში დავარდნილა. აღნიშვნის ღირსია მჭედლიშვილისა და რეხვიაშვილის დარტყმები. ყველაზე რეალური მომენტი კი სტუმრებს 58-ე წუთზე მიეცათ, როდესაც **დავით სვანიძემ** კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავით შეუცვალა მიმართულება, ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა მერანელთა კარს. გამოსაყოფია ასევე, **ჯაბა უგულავასა** და ახლადშემოსული **რეზო ჯიქიას** დარტყმები.

ბოლოსკენ "მერანმა" უფრო აქტიურად და მონდომებით შეუტია, კარგად ჩაერთნენ თამაშში **ნოდარ ნოზაძე** და ადგილობრივები: **ლევან გეგეჭკორი** და **კიჟი მელიავა** (აქვე ვთქვათ ისიც, რომ მოედანი ტრამვის გამო ნაადრევად დატოვა გუნდის ერთ- ერთმა ლიდერმა **გიგა ჟვანიამ,** რომლის თამაში მომდევნო ტურში, სათუოა). თუმცა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ შეხვედრის მთავარი გმირები ჯონი შეროზია და შეტევების სულისჩამდგმელი პაპუნა ფონიავა იყვნენ.

მატჩი, რომელიც საინტერესო სანახავი გამოდგა, თითქოს გატანილი გოლის გარეშე უნდა დასრულებულიყო. ვერ ვიტყვით ფრე არალოგიკური იქნებოდა-თქო, თუმცა მატჩის ბოლოსწინა წუთზე შეცვლაზე შემოსულმა ნოდარ ნოზაძემ სტანდარტულიდან აულებელი გაისროლა და თავისიანებს მეტად საჭირო სამი ქულა მოაპოვებინა.

**მატჩის შემდეგ**

**მალხაზ ჟვანია (მერანი):** "კარგი თამაში გამოვიდა, მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, შეცვლებმაც გაამართლა და ვფიქრობ, დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. გუნდის ჩამოყალიბება გრძელდება..."

**არმაზ ჯელაძე (სიონი):** "მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, უამრავი მომენტი შევქმენით, სამწუხაროდ, ვერც ერთი ვერ გამოვიყენეთ. გუნდმა ნორმალურად ითამაშა და რომ არა უიღბლობა, ფრეს მივაღწევდით. ვულოცავ მარტვილს ამ გამარჯვებას".

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

● ლეგიონის უქმეები

# თითქმის არაფრით გამორჩეული

საზღვარგარეთ მოასპარეზე ქართველებისთვის დიდად წარმატებული არც გასული უქმეები ყოფილა, მაგრამ სასიამოვნო გამონაკლისებსაც ჰქონდა ადგილი და რამდენიმე ქართული გოლიც გავიდა. შეგახსენებთ, პარასკევს ვარშავულ დერბიში თავი გამოიჩინა "პოლონიას" თავდამსხმელმა **ლადო დვალიშვილმა.**

რაც შეეხება გუშინწინდელ და გუშინდელ მატჩებს, გამოსარჩევია უკრაინის თასის მეთექვსმეტედფინალი, სადაც გოლი **სანდრო კობახიძემ** გაიტანა. მისმა "არსენალმა" სტუმრად ალჩევსკის "სტალს" დაძაბულ ბრძოლაში სძლია. ძირითადი დრო ფრედ, 1:1 დასრულდა, დამატებითში კი სამი გოლი გავიდა და კიეველებმა 3:2 გაიმარჯვეს. კობახიძემ შეხვედრის 111-ე წუთზე თავისი გუნდის მესამე ბურთი შეაგდო.

"ილიჩევეცმა" ასევე გასვლით მატჩში დნეპროდერჟინსკის "სტალი" 6:0 გაანადგურა. ზოგი წყარო ამ ექვსიდან ერთ გოლს **დავით თარგამაძეს** მიაწერს, ზოგიც კი მის თანაგუნდელს.

ქვედალიგური "სევასტოპოლისა" და პრემიერლიგური "კარპატის" დაპირისპირება "სევასტოპოლმა" მოიგო, ეს მატჩი კი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ **მათე ღვინიანიძის** გუნდმა **უჩა ლობჟანიძესა** და მის თანაგუნდელებს აჯობა.

უკრაინის თასისთვის ბრძოლას ასევე განაგრძობენ **ჯაბა კანკავა** ("დნიპრო"), **მურთაზ დაუშვილი** და **ლევან ყენია** (ორივე – "კარპატი"), **ჯაბა ლიპარტიას** "ზარიასთვის" კი გათამაშება ნაადრევად დასრულდა.

**ჯანო ანანიძე** ჩემპიონთა ლიგაში "ბარსელონას" წინააღმდეგ გამართული მატჩის 18-კაციან განაცხადშიც კი არ ყოფილა, სამაგიეროდ, მოედანზე გამოჩნდა რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში – თუმცა კვლავ შეცვლაზე და არცთუ დიდი დროით.

**გიორგი ჭანტურია**, რომელიც ბოლო დროს "ვიტესის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, ამჯერად სათადარიგოთა სკამზეც არ გვიხილავს, **ზურაბ ხიზანიშვილის** არყოფნაში "ქაისერისფორმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, **აკაკი ხუბუტია** რუმინული "გაზ მეთანის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა, **ნიკოლოზ გელაშვილმა** კი "ბოხუმის" რიგებში ამჯერად ჩვეულებრივზე დიდი ხნით ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ლეგიონის ცხრილი იხილეთ მე-5 გვერდზე




ჯანო ანანიძემ კვლავ შეცვლაზე ითამაშა

| ფეხბურთელი | ასაკი | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | ბოხუმი | დუისბურგი | 0:0 (ფ) | 90 წუთი | 6 თ. |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | დუისბურგი | 0:0 (ფ) | 61-ე წუთიდან | 3 თ. |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ააჩენი | 1:1 (ფ) | დისკვალ. | 0 თ. |
| **იტალია. სერია ბ. V ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 22 | ემპოლი | ტერნანა | 0:2 (მ) | არ უთამაშია | 1 თ. |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | ტერნანა | 0:2 (მ) | 75-ე წუთიდან | 3 თ. |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. VIII ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 22 | ლე მანი | ნიორი | 2:2 (მ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| **პორტუგალია. ლიგა დე ორნ. VII ტური** | | | | | | |
| ავთანდილ ებრალიძე | 20 | ოლივეირენსე | ფრეამუნდე | 1:0 (მ) | 90 წუთი | 6 თ. |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. თასი** | | | | | | |
| ჩაბა კანკავა | 26 | დნეპრო | იმართებოდა უკრაინის თასის თამაშები | | | 8 თ, 2 გ. |
| ალექსანდრე კობახიძე | 25 | არსენალი | | | | 8 თ, 1 გ. |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩოვეცი | | | | 9 თ, 1 გ. |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 20 | ილიჩოვეცი | | | | 9 თ, 1 გ. |
| ჩაბა ლიპარტია | 24 | ზორია | | | | 9 თ, 1 გ. |
| უჩა ლობჯანიძე | 25 | კრივბასი | | | | 9 თ. |
| ბუბა დაუშვილი | 23 | კარპატი | | | | 4 თ. |
| ლევან ყენია | 21 | კარპატი | | | | 3 თ. |
| **უკრაინა. პირველი ლიგა. თასი** | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | 25 | სევასტოპოლი | - | - | - | 5 თ. |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. VI ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ჰერაკლესი | 1:1 (მ) | 90 წუთი | 6 თ. |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ვიტესი | ჰერაკლესი | 1:1 (მ) | არ უთამაშია | 1 თ. |
| ვაკო ყაზაიშვილი | 19 | ვიტესი | ჰერაკლესი | 1:1 (მ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. IX ტური** | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | როსტოვი | 3:1 (მ) | 77-ე წუთიდან | 6 თ, 1 გ. |
| მერაბ ურიდია | 19 | რუბინი | ყუბანი | 1:0 (მ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| ნუკრი რევიშვილი | 25 | კრასნოდარი | მორდოვია | 6:1 (მ) | არ უთამაშია | 4 თ. |
| ალეკო ამისულაშვილი | 30 | კრასნოდარი | მორდოვია | 6:1 (მ) | 90 წუთი, ყვ. ბარათი | 9 თ. |
| მოთა გრიგალაშვილი | 26 | ალანია | ანჟი | დღეს | - | 0 თ. |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | ცსკა | 2:3 (მ) | 90 წუთი | 9 თ, 1 გ. |
| **რუსეთი. ფნლ. XII ტური** | | | | | | |
| საბა კვირკველია | 20 | ნეფტეხიმიკი | გუნდი | ისვენებდა | | 9 თ. |
| დავით სირაძე | 30 | ნალჩიკი | როტორი | 1:0 (ფ) | არ უთამაშია | 9 თ, 1 გ. |
| გიორგი ნავალოვსკი | 26 | მეტალურგი ნ. | სიბირი | 0:1 (ფ) | 90 წუთი. ყვ. ბარათი | 4 თ. |
| ლევან გვაზავა | 32 | ხიმკი | ენისეი | 1:2 (მ) | არ უთამაშია | 3 თ, 1 გ. |
| **თურქეთი. სუპერლიგა. V ტური** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 30 | კაისერი | ესკიშეჰირი | 3:2 (მ) | არ უთამაშია | 4 თ. |
| **კვიპროსი. I დივ. III ტური** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 34 | ეთნიკოსი | ოლიმპიაკ. | 1:3 (ფ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| **დანია. სუპერლიგა. X ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 24 | ორჰუსი | სიონდერიასკე | 2:2 (მ) | 64-ე წუთიდან | 8 თ, 2 გ. |
| დავით სხირტლაძე | 19 | ორჰუსი | სიონდერიასკე | 2:2 (მ) | 80-ე წუთამდე, ყვ. ბარათი | 4 თ. |
| მათე ვაწაძე | 23 | ორჰუსი | სიონდერიასკე | 2:2 (მ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. V ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | პოლონია | ლეგია | 1:1 (ფ) | 70-ე წუთამდე, 1 გოლი | 5 თ, 2 გ. |
| ნიკა ძალამიძე | 20 | იაგიელონია | პიასტი | 0:2 (მ) | 90 წუთი | 5 თ. |
| **ბელარუსი. პრემიერლიგა. XXIII ტური** | | | | | | |
| უჩა გოგოლაძე | 22 | ბრესტი | ტორპედო | 0:0 (ფ) | - | 18 თ, 5 გ. |
| ირაკლი დევაძე | 23 | ნაფტანი | გომელი | 0:2 (ფ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| **უნგრეთი. ნბ 1. VIII ტური** | | | | | | |
| რატი ალექსიძე | 34 | დიოში-ეტო | ვიდეოტ. | 1:0 (ფ) | 66-ე წუთიდან | 3 თ. |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 29 | ინტერი | ჰიკ | 1:1 (ფ) | 90 წუთი | 27 თ, 15 გ. |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. V ტური** | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | 90 წუთი | 5 თ. |
| რევაზ თევდორაძე | 24 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | არ უთამაშია | 0 თ. |
| ვალერი აბრამიძე | 32 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | 90 წუთი | 1 თ. |
| ილია კანდელაკი | 30 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | 90 წუთი | 3 თ. |
| გიორგი ადამია | 31 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | არ უთამაშია | 4 თ, 1 გ. |
| ბაჩანა ცხადაძე | 24 | ინტერი | აზალ | 0:0 (ფ) | 90 წუთი | 3 თ. |
| გიორგი ფოფხაძე | 25 | ბაქო | ხაზარი | ხვალ | - | 3 თ. |
| **მოლდოვა. დივიზია ნაციონალა. X ტური** | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | 32 | ზიმბრუ | ნისტრუ | 4:0 (მ) | არ უთამაშია | 5 თ, 3 გ. |
| **ლიტვა. ა ლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| ნიკა მგელაძე | 26 | ბანგა | ვილნიუსი | გადაიდო | | 27 თ, 2 გ. |
| გიორგი ალავერდაშვილი | 24 | ბანგა | ვილნიუსი | | | 9 თ, 6 გ. |
| გიორგი ნიქაბაძე | 21 | ბანგა | ვილნიუსი | | | 22 თ, 5 გ. |
| **ლატვია. ვირსლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| ბიძინა ცინცხაძე | 23 | დაუგავა | სპარტაკსი | 3:0 (ფ) | 54-ე წუთიდან | 18 თ, 2 გ. |
| მამუკა ღონღაძე | 26 | დაუგავა | სპარტაკსი | 3:0 (ფ) | 69-ე წუთ-დან, 1 გოლი | 27 თ, 16 გ. |
| **ესტონეთი. მეისტრილიგა. XXX ტური** | | | | | | |
| ზაქარია ბეგლარიშვილი | 22 | ფლორა | ტამეკა | 3:0 (ფ) | 46-ე წუთამდე | 22 თ, 14 გ. |
| თენგიზ ეთერია | 22 | პაიდე | ვილანდი | 2:0 (ფ) | 90 წუთი | 26 თ, 2 გ. |
| დავით ლორთქიფანიძე | 21 | სილამაე | ლევადია | 2:0 (ფ) | არ უთამაშია | 3 თ. |

## საფრანგეთი. ლიგა 1. VI ტური.

# მარსელის ზედიზედ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტულუზი მეკარემ იხსნა

**მონპელიე-სენტ ეტიენი 1:1**

გოლები: 0:1 ობამეიანი (45), 1:1 ს. კამარა (70).

**ბასტია-პსჟ 0:4**

გოლები: 0:1 მენეზი (6), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (40), 0:3 მატუიდი (72), 0:4 იბრაჰიმოვიჩი (90).

**ლორიანი-ნიცა 1:1**

გოლები: 0:1 მერიემი (40), 1:1 მონე-პაკე (89).

**სოშო-ტრუა 3:1**

გოლები: 1:0 რუდე (8), 1:1 ფოსურიე (34), 2:1 დუბაი (54), 3:1 ბაკამბუ (70).

**ბრესტი-ვალანსიენი 2:1**

გოლები: 0:1 დოსევი (11), 1:1 აიტე (62), 2:1 ბენ ბასატი (76-პენ.).

**რეიმსი-ნანსი 2:0**

გოლები: 1:0 კურტე (7), 2:0 დიეგო (61-პენ.).

**ტულუზი-რენი 2:2**

გოლები: 0:1 პიტროიპა (10), 1:1 ბენ იედერი (24), 1:2 ერდინჩი (65), 2:2 აჰამადა (90).

**ბორდო-აიაჩო 2:2**

გოლები: 1:0 ენრიკე (54), 1:1 ფატი (64), 2:1 გუფრანი (78), 2:2 ბელგაზუანი (90)

**მარსელი-ევიანი 1:0**

გოლი: 1:0 ამალფიტანო (33).

**ლილი-ლიონი 1:1**

გოლები: 1:0 რუ (7), 1:1 ლისანდრო ლოპესი (80).




ბედნიერი აჰამადა და ბენ იედერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 6 | 6 | 0 | 0 | 9-1 | 18 |
| 2. ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-5 | 14 |
| 3. პსჟ | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| 4. ლორიანი | 6 | 3 | 3 | 0 | 12-7 | 12 |
| 5. რეიმსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 6. ბორდო | 6 | 2 | 4 | 0 | 7-5 | 10 |
| 7. ტულუზი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-7 | 9 |
| 8. ბრესტი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-11 | 9 |
| 9. ვალანსიენი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-5 | 8 |
| 10. სენტ ეტიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-6 | 7 |
| 11. ნიცა | 6 | 1 | 4 | 1 | 8-7 | 7 |
| 12. ლილი | 6 | 1 | 4 | 1 | 8-8 | 7 |
| 13. აიაჩო | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 6 |
| 14. სოშო | 6 | 2 | 0 | 4 | 7-10 | 6 |
| 15. ბასტია | 6 | 2 | 0 | 4 | 7-16 | 6 |
| 16. მონპელიე | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 6 |
| 17. ევიანი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-8 | 4 |
| 18. რენი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 19. ნანსი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 20. ტრუა | 6 | 0 | 2 | 4 | 6-13 | 2 |

*აიაჩოს -2 ქულა

**ბომბარდირები:** 7 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 4 – ა. ტრაორე (ლორიანი), ობამეიანი (სტ. ეტიენი), ბენ იედერი (ტულუზი); 3 - ბარბოსა (ევიანი), მ. ბასტოსი (ლიონი), ჟინიაკი (მარსელი), გომისი (ლიონი), დუბაი (სოშო), პიტროიპა (რენი).

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-6 ტურში, მარსელის "ოლიმპიკმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და **ელი ბოპის** გუნდი ლიგა 1-ში კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. პროვანსელთა მორიგი მეტოქე "ევიანი" იყო. მოლოდინის საპირისპიროდ მასპინძლებს საკმაოდ გაუჭირდათ, "ევიანმა" მეტოქეს არაფერი დაუთმო და ქულასთან საკმაოდ ახლოს იყო. საბოლოოდ მატჩის ბედი 33-ე წუთზე, **მორგან ამალფიტანოს** მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა და სტუმრებს რეალური შანსებიც ჰქონდათ, მაგრამ **სტივ მანდანდა** შესანიშნავად თამაშობდა – "მარსელის" მეკარემ საკუთარი გუნდი რამოდენიმე ეპიზოდში აშკარა გოლს გადაარჩინა. შეხვედრის ბოლოს, არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე, ამალფიტანოს დუბლის გაფორმება შეეძლო, მაგრამ ბურთი კარს აცდა.

"მარსელი" მომდევნო ტურში სტუმრად თამაშობს "ვალანსიენთან", მე-8 ტურში კი ფრანგული კლასიკო გაიმართება – "მარსელი"-"პარი სენ-ჟერმენი".

პარიზელები კორსიკაზე ჩავიდნენ და იქიდან 3 ქულით დაბრუნდნენ. ბევრი ამ შეხვედრაში ბრძოლას ელოდა, მაგრამ სტუმრებმა საკმაოდ მარტივად მოიგეს. მორიგი გოლები გაიტანა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, რომლის ანგარიშზეც უკვე 7 გოლია და შვედი ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად ლიდერობს. თითო გოლი **ჟერემი მენეზმა** და **ბლეზ მატუიდიმ** გაიტანეს. საბოლოოდ 0:4 და "პსჟ" უკვე მესამე ადგილზეა.

*"პირველმა გოლმა კარგი სამსახური გაგვიწია. გაშვებული ბურთის შემდეგ "ბასტია" გაიხსნა, წინ წამოვიდა და ჩვენ ამით კონტრშეტევებზე ვისარგებლეთ. ახლა ჩვენთან ყველაფერი იდეალურად არის. ზლატანი შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს და საგოლე პასებსაც არიგებს. "მარსელთან" შეხვედრაზე ჯერ არ ვფიქრობთ, ჯერ "სოშოს" ვეთამაშებით, შემდეგ კი "პორტუს". როდესაც ეს მატჩები ჩაივლის, მხოლოდ შემდეგ დავიწყებთ კლასიკოზე ფიქრს"* – განაცხადა პრესკონფერენციაზე **კარლო ანჩელოტიმ.**

"მონპელიე" და "სენტ ეტიენი" ერთმანეთს პარასკევს დაუპირისპირდნენ და საბოლოოდ მშვიდობიანად დაშორდნენ. ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** გახსნა, 70-ე წუთზე კი **სულეიმან კამარამ** გაათანაბრა. ჩემპიონის კრიზისი გრძელდება – **რენე ჟირარის** გუნდი 6 ქულით მე-16 ადგილზეა.

ალსანიშნავი რამ მოხდა "ტულუზის" და "რენის" მატჩში. მასპინძლები 1:2-ს აგებდნენ, როდესაც არბიტრის მიერ დამატებულ წუთზე მეტოქის კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. "ტულუზის" 21 წლის მეკარე **ალი აჰამადა** შეტევაში წავიდა და ულამაზესი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. აჰამადამ კარისკენ ზურგით მდგომმა შეძლო **ბენუა კოსტილის** კარის დალაშქვრა და რა თქმა უნდა, უზომოდ გაიხარა. *"წინათგრძნობა მქონდა, რომ გავიტანდი. როდესაც წინ წავედი, წარმოვიგინე, რომ გავიტანე და გულშემატკივრებთან ერთად ვიზეიმე. საჯარიმოში არავინ მმეურვეობდა, ვისამმა (ბენ იედერი) იდეალურად ჩააწოდა და მეც ვაჯობე კოსტილს"*, – განუცხადა ჟურნალისტებს ბედნიერმა აჰამადამ.

ამ ტურის ცენტრალური მატჩი კი ლილში, "გრანდ სტად ლილ მეტროპოლზე" გაიმართა. ორივე გუნდს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდა, თუმცა საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც არც ერთს აწყობდა და არც მეორეს. შეხვედრის მე-7 წუთზე **ნოლან რუმ** ისარგებლა **რაიან მენდესის** გადაცემით და ანგარიში გახსნა. "ლილი" გოლის შემდეგაც ფლობდა უპირატესობას, მაგრამ მეორე გოლის გატანა ვერ შეძლო, რის გამოც დაისაჯა. **რემი გარდმა** მინდორზე **ფაბიან მონსონი** შეუშვა, რომლისთვისაც ეს "ლიონის" რიგებში სადებიუტო მატჩი იყო. "ნიცას" ყოფილმა ფეხბურთელმა სადებიუტო მატჩში საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში – მონსონის პასით თავი **ლისანდრო ლოპესმა** გამოიჩინა. არგენტინული კომბინაციის წყალობით "ლიონმა" ქულა მოიპოვა და მეორე ადგილი შეინარჩუნა, თუმცა რემი გარდის "ოლიმპიკი" უკვე 4 ქულით ჩამორჩება მარსელის "ოლიმპიკს".

**ტატო ბაციკაძე**

## ჰოლანდია

ერედივიზიე. VI ტური.

**როდა-უტრეხტი 0:1**

გოლი: 0:1 ბულტჰუისი (34).

**ზვოლე-გრონინგენი 1:2**

გოლები: 1:0 მოხტარი (22), 1:1 ზეეფუიკი (84), 1:2 დე ლეუვი (88).

**ვაალვიკი-ვენლო 1:1**

გოლები: 0:1 სეიპი (6), 1:1 შევალიე (56).

**ვიტესი-ჰერაკლესი 1:1**

გოლები: 0:1 გურიე (48), 1:1 ბონი (73-პენ.).

**დენ ჰააგი-აიაქსი 1:1**

გოლები: 1:0 ბეუგელსდიკი (14), 1:1 ბაბელი (62).

**ტვენტე-ჰერენვენი 1:0**

გოლები: 1:0 ტადიჩი (59-პენ).

**ბრედა-ალკმაარი 2:1**

გოლები: 0:1 მაჰერი (35), 1:1 ლუიქსი (67), 2:1 დე რუვერი (73).

**ეინდჰოვენი-ფეიენოორდი 3:0**

გოლები: 1:0 ტოივონენი (63), 2:0 ვაინალდუმი (73), 3:0 ნარსინგი (76).

**ნაიმეგენი-ვილემ II 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 6 | 6 | 0 | 0 | 16-4 | 18 |
| 2. ვიტესი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 3. აიაქსი | 6 | 3 | 3 | 0 | 18-6 | 12 |
| 4. პსვ | 6 | 4 | 0 | 2 | 18-6 | 12 |
| 5. უტრეხტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 |
| 6. ფეიენოორდი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 7. დენ ჰააგი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-9 | 9 |
| 8. ვაალვიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 9. ალკმაარი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-10 | 8 |
| 10. ნაიმეგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-11 | 8 |
| 11. გრონინგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-12 | 7 |
| 12. ჰერაკლესი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 13. ბრედა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-11 | 5 |
| 14. როდა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-12 | 4 |
| 15. ვენლო | 6 | 0 | 3 | 3 | 7-12 | 3 |
| 16. ჰერენვენი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-9 | 3 |
| 17. ვილემ II | 6 | 0 | 3 | 3 | 4-13 | 3 |
| 18. ზვოლე | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |

ბომბარდირები: 7 – ალტიდორი (ალკმაარი); 4 – ჩერი (დენ ჰააგი), ბონი (ვიტესი).

**ტატო ბაციკაძე**

## ბელგია

ჟუპილერლიგა. VIII ტური

| | |
|---|---|
| სტანდარდი-გენტი | 1:2 |
| ვარეგემი-ანდერლეხტი | 2:3 |
| ჟერმინალი-კორტრიიკი | 2:1 |
| მეხელენი-მონსი | 3:0 |
| ლოკერენი-ლუვენი | 2:2 |
| ბევერენი-ლიერსი | 1:1 |
| ბრიუგე-სერკლ ბრიუგე | 4:0 |
| შარლერუა-გენკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 7 | 5 | 2 | 0 | 18-9 | 17 |
| 2. ანდერლეხტი | 8 | 4 | 4 | 0 | 14-8 | 16 |
| 3. გენკი | 8 | 3 | 5 | 0 | 14-10 | 14 |
| 4. გენტი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 5. ბეერასხოტი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-12 | 13 |
| 6. ვარეგემი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-11 | 13 |
| 7. მეხელენი | 8 | 3 | 2 | 3 | 15-12 | 11 |
| 8. ლოკერენი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-11 | 11 |
| 9. კორტრიიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-9 | 11 |
| 10. სტანდარდი | 8 | 3 | 1 | 4 | 17-15 | 10 |
| 11. ლიერსი | 8 | 1 | 6 | 1 | 8-7 | 9 |
| 12. მონსი | 8 | 2 | 2 | 4 | 16-18 | 8 |
| 13. ლუვენი | 8 | 1 | 5 | 2 | 12-15 | 8 |
| 14. შარლერუა | 8 | 2 | 1 | 5 | 10-18 | 7 |
| 15. ბევერენი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-12 | 6 |
| 16. სერკლ ბრიუგე | 7 | 0 | 1 | 6 | 6-17 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. IV ტური

# მილანური გრანდები ზებრებმა გადაჯეგეს

## გადაიდო თუ გაუქმდა?

### პირლოს გარეშეც

შუა კვირაში, "ჩელსისთან" ნათამაშევმა "იუვენტუსმა" საკუთარ მოედანზე "კიევო" მიიღო და მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი გაუტანა. ბუნებრივია, სრულ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ტურინელები ფლობდნენ, რაც სტატისტიკურ მონაცემებშიც შესაბამისად აისახა. თუმცა, ვერ დავიჩემებთ, რომ მასპინძელთა იერიშები ერთი-მეორეზე ეფექტური და მწვავე გახლდათ, რაც ალბათ შემადგენლობის როტაციით იყო განპირობებული. დიახ, "იუვეს" სამწვრთნელო შტაბმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს მისცა დასვენების საშუალება - მაგალითად, **ანდრეა პირლოს, ანდრეა ბარცალის, არტურო ვიდალს** და ა.შ. თუმცა, ეს უკანასკნელი მეორე ტაიმში გამოჩნდა მინდორზე და ამით, ყველანაირი ეჭვი გაფანტა ლონდონში მის მიერ მიღებული სერიოზული ტრავმის შესახებ. თუ უფრო დავკონკრეტდებით, ტურინელთა იერიშების ნაკლებეფექტურობა ორ რამეს თანაბარი წარმატებით შეგვიძლია დავაბრალოთ - ერთი, გადაღლილობა გახლავთ და მეორე - პირლოს არყოფნა.

და მაინც, ტურინელებმა ორჯერ გაუტანეს მეტოქეს და ორჯერვე თავი **ფაბიო კვალიარელამ** გამოიჩინა. ვინც, ლონდონში მეორე ტაიმში გავიდა მინდორზე და "ჩელსის" გამათანაბრებელი გოლი გაუტანა. ფაბიო "კიევოს" წინააღმდეგ შეუდარებელი იყო და გოლებიც ულამაზესი გაიტანა - ჯერ ვარდნაში გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ჩარჩოში, შემდეგ კი ერთი მეურვე ეფექტურად ჩამოიტოვა და ბურთი მეკარისაგან დაბალ კუთხეში შეაგორა. მოკლედ, კვალიარელა მატჩის გმირი გახდა და თუ ასე გააგრძელა, ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად დაიმკვიდრებს ადგილს. ნამატჩევს, "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **მასიმო კარერამ** შეგირდები შეაქო, განსაკუთრებით კი არა დუბლის ავტორი, არამედ ახალგაზრდა ნახევარმცველი, **პოლ პოგბა** გამოარჩია - მისი თქმით, 19 წლის ფეხბურთელს დიდი მომავალი აქვს და კიდევ ბევრჯერ მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. ბედნიერი იყო კვალიარელა და ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*"საოცარი საღამო იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებმაც დიდი სითბო მაგრძნობინეს და ენთუზიაზმი გამიათმაგეს. ლონდონშიც შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ და იქიდანაც ემოციებით სავსე წამოვედი - მოკლედ, ბოლო კვირა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში და იმედია, ასევე გაგრძელდება".*

### არგენტინელი იტალიის ნაკრებში?

ემილიაში "პარმამ" "ფიორენტინა" მიიღო და ქულა მატჩის უკანასკნელ წუთზე გადაარჩინა. მასპინძლებმა გოლი თერთმეტმეტრიანით გაიტანეს, იქამდე კი ფლორენციელთაგან **ფაკუნდო რონკალიამ** გამოიჩინა თავი. ეს უკანასკნელი არგენტინელი გახლავთ, თუმცა იტალიური ფესვები აქვს და როგორც ნამატჩევს განაცხადა, სწორედ "სკუადრა აძურაში" სურს თამაში. ფაკუნდოს თქმით, მას **ჩეზარე პრანდელი** აკვირდება და უბედნიერესი იქნება თუ ერთ მშვენიერ დღეს, სანაკრებო მიწვევას მიიღებს. იქვე დაამატა, ჩემი წინაპრები ნეაპოლიდან იყვნენ და ჩემი ოცნება ყოველთვის "სკუადრა აძურაში" თამაში იყოო.

### არც ერთი მილანი არ უქნია ღმერთს

კვირას ისეთი ამბები დატრიალდა, ცოტა თუ მოელოდა... მილანურმა გრანდებმა წყვილად წააგეს და კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი. მეორე მხრივ, ეს ყველაფერი კანონზომიერება უფროა, ვიდრე სენსაცია, რადგან "მილანიც" და "ინტერიც" შორს არიან საუკეთესო კონდიციისგან. თუმცა, ისიც საკითხავია, სად გადის ამ ფორმაციის "მილანის" შესაძლებლობის ზღვარი და იქნებოდა თუ არა ფავორიტი, სულ რომ ფორმის პიკზე ჩასულიყო უდინეში?! მოკლედ, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი კიდევ ერთხელ დამარცხდა მეოთხე შეხვედრაში მესამე ნაგება იგემა და სატურნირო ცხრილის ფსკერზეა მისვენებული. იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ უახლოეს საათებში ალეგრის კარისკენ მიუთითებენ. ჯერ მაინც ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს. აქვე ვთქვათ, რომ უდინელთაგან გოლები **რანეჯიმ** და **დი ნატალემ** გაიტანეს, მილანელთა რიგებში კი **ელ შაარავი** გამოირჩა. მეორე მილანური გრანდი სულაც საკუთარ კედლებში შერცხვა, "სიენასგან" ორი უპასუხო ბურთი მიიღო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ **ანდრეა სტრამაჩონი** სრულ გაუგებრობაშია. ახალგაზრდა სპეციალისტი რაღაცას აშენებს, მაგრამ რას, ვგონებთ, თვითონაც არ იცის.



ფაბიო კვალიარელას ეფექტური საგოლე დარტყმა ვარდნაში

### რომა სტადიონზე არ შეუშვეს!

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში პირველი მატჩი გადაიდო, ან საერთოდ გაუქმდა. დიახ, საფეხბურთო კლუბ "კალიარის" მესვეურებს კიდევ ერთხელ შეექმნათ პრობლემები ქალაქის მუნიციპალიტეტთან, რის გამოც გუნდისთვის "სტადიო სანტ ელიას" კარები დაიკეტა. "რომა" უკვე სარდინიაზე იყო ჩაფრენილი, როდესაც ქალაქის მუნიციპალიტეტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: სტადიონზე თამაში არ გაიმართებაო. "სტადიო სანტ ელია" ქალაქის მუნიციპალიტეტს, იგივე პრეფექტურას ეკუთვნის და აღნიშნული გადაწყვეტილებაც უპრობლემოდ მიიღეს. მოკლედ, თამაში გადაიდო, მაგრამ "რომას" მესვეურები უფრო შორს მიდიან და მათთვის სამი ქულის მინიჭებას ითხოვენ. "ლეგა კალჩოდან" გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, დიდია შანსი, სარდინიულ გუნდს ტექნიკური მარცხი 0:3 ჩაეთვალოს და შესაბამისად, "რომამ" სამი ქულა უბრძოლველად მიიღოს. ვნახოთ, ეს საკითხი მალე გაირკვევა.

### ნაპოლიმაც წაიფორხილა

მეოთხე ტურში ვერც "ნაპოლიმ" ივარგა – **ვალტერ მაცარის** გუნდი "კატანიას" სტუმრობდა და ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ სახლში სამი ქულით დაბრუნებულიყო. თავად განსაჯეთ, ჯერ კიდევ მეორე წუთზე, სიცილიელები კაცნაკლულნი დარჩნენ, მაგრამ ეს უდიდესი უპირატესობა ნეაპოლელებმა ვერაფრით აქციეს გოლად. კიდევ ერთხელ, "ნაპოლის" ძალიან გაუჭირდა კატანიაში და კიდევ ერთხელ, "სტადიო ანჯელო მასიმინოზე" მაცარის შეგირდებმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

**მომდევნო ტური:**

**25 სექტემბერი:** ფიორენტინა-იუვენტუსი;
**26 სექტემბერი:** პესკარა-პალერმო, რომა-სამპდორია, სიენა-ბოლონია, ტორინო-უდინეზე, ჯენოა-პარმა, მილანი-კალიარი, ნაპოლი-ლაციო, კატანია-ატალანტა, კიევო-ინტერი.

### პარმა-ფიორენტინა 1:1

**პარმა (3-5-2):** მირანტე – ბენალოუანე, პალეტა, ლუკარელი – გალოპა, როზი, ვალდესი, პაროლო, გობი – ბელფოდილი (66. პალადინო - 70. ნინისი) - პაბონი (65. ამაური).

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო – რონკალია, [illegible] სალო, ტომოვიჩი – კუადრადო (71. მილი[illegible]), ფერნანდესი (61. რომულო), ბორხა ვალერო, პისარო, კასანი – სეფეროვიჩი (69. ტონი), იოვე[illegible]

**გოლები:** 0:1 რონკალია (20), 1:1 [illegible] (90-პენ.).

**გაფრთხილება:** ვალდესი, გალოპა - პისარო, ტონი.

**გაძევება:** როზი (89. პარმა).

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 9-23; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 9-10(3-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 17 000

### იუვენტუსი-კიევო 2:0

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბონუჩი, ლუსიო, კიელინი – ისლა (52. ვიდალი), პოგბა, ჯაკერინი, მარკიზიო (73. ლიხტშტაინერი), ასამოა – ვუჩინიჩი, კვალიარელა (80. ბენდტნერი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – დაინელი (74. სარდო), ცეზარი, იოკიჩი, ფრეი – ნ. რიგონი, ჰეტემაი (62. კრუსადო), ვაჩეკი – მ. რიგონი - პელისიერი, თერეუ (70. მოსკარდელი).

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (63), 2:0 კვალიარელა (68).

**გაფრთხილება:** მოსკარდელი (კიევო).

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 20-5(9-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 38 000

### სამპდორია-ტორინო 1:1

**სამპდორია (4-3-3):** ბერინი – ბერარდი, გასტალდელო, როსინი, კოშტა - ობიანგი (63. სორიანო), მარესკა, მუნარი (72. პოცი) – ესტიგარიბია (82. ედერი), კრსტიჩიჩი, მაქსი ლოპესი.

**ტორინო (4-2-2-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, ოგბონა, მაზიელო – გაცი, ვივესი (82. ბრიგი) – სანტანა (75. სტევანოვიჩი), მეჯორინი – ჩერჩი, ბიანკი (75. სგრინია).

**გოლები:** 0:1 ბიანკი (69), 1:1 პოცი (84-პენ.).

**გაფრთხილება:** გასტალდელო, მაქსი ლოპესი, კრსტიჩიჩი, სორიანო - დარმიანი, გლიკი, ოგბონა, მეჯორინი.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10-7(4-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 000

### ატალანტა-პალერმო 1:0

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – ფერი, ლუკინი (73. სტენდარდო), მანფრედინი, ბრივიო – რაიმონდი, კაცოლა, ჩიგარინი, მორალესი (83. ტროიზი) – ბონავენტურა (59. დე ლუკა) - დენისი.

**პალერმო (4-4-2):** უიკანი – მუნიოსი, მორგანელა (90. დუბალა), ფონ ბერგენი, დონატი - რიოსი, ბარეტო, გარსია, ჯორჯი (76. პიზანო) – ერნანდესი, ილიჩიჩი (63. მიკოლი).

**გოლი:** 1:0 რაიმონდი (88).

**გაფრთხილება:** ლუკინი, მანფრედინი, ჩიგარინი, ტროიზი – დონატი, ჯორჯი, ილიჩიჩი.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 7-7(2-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 18 000

### ბოლონია-პესკარა 1:1

**ბოლონია (4-3-1-2):** ალიარდი – გარიჩი, ნატალი, ანტონსონი, მორლეო (83. აბერო) – პულცეტი (67. გაბიადინი), ტაიდერი, პაციენცა - დიამანტი – კონე (76. ხიმენესი), ჯილარდინო.

**პესკარა (4-3-2-1):** პერინი – ბალცანო, კოსიჩი, ბოკეტი, მოდესტო (71. ძანონი) – ნილსენი, კოლუჩი, კამონე (80. ბარნასონი) – კუინტერო, კაპრარი (64. პელიცოლი) - ვუკუსიჩი.

**გოლები:** 1:0 ჯილარდინო (9), 1:1 კუინტერო (41).

**გაფრთხილება:** კონე - კამონე.

**გაძევება:** პერინი (63. პესკარა).

**კუთხური:** 15-4; **ჯარიმა:** 8-24; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-11(8-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 22 000

### კატანია-ნაპოლი 0:0

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, სპოლი, ლეგროტალიე, მარკეზე – ალმირონი (74. კასტრო), ბიაჯანტი (46. ისკო), ლოდი – ბარიენტოსი (67. ბელუში), ბერგესიო, გომესი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – არონიკა (65. ვარგასი), კანავარო, კამპანიარო – მაჯო (84. დოსენა), ჯემაილი, ინლერი (46. ინსინიე), ცუნიგა - ჰამშიკი – პანდევი, კავანი.

**გაფრთხილება:** ლეგროტალიე, ალმირონი, ბერგესიო – არონიკა, ინლერი, ცუნიგა.

**გაძევება:** ალვარესი (2. კატანია).

**კუთხური:** 3-14; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 5-13(1-6); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-სიენა 0:2

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – პერეირა, რანოკია, ჟუან იესუსი, ნაგატომო – კამბიასო, გარგანო (80. კოუტინიო), გუარინი (55. ალვარესი) - სნეიდერი – კასანო (85. ლივაია), მილიტო.

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ნეტო, პაჩი, ფელიპე - ანჯელო, ვერგასოლა, დელ გროსო, ზე ედუარდო (78. ვალიანი), დაგოსტინო (54. როდრიგესი) – როზინა (87. სესტუ), კალაიო.

**გოლები:** 0:1 ვერგასოლა (73), 0:2 ვალიანი (90).

**გაფრთხილება:** ჟუან იესუსი- პეგოლო, ანჯელო, როზინა, კალაიო.

**კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18-6(11-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 44 000

### უდინეზე-მილანი 2:1

**უდინეზე (3-5-2):** ბრკიჩი – ბენეტია, დანილო, კოდა – ფარაონი (62. ბადუ), ალანი, პინცი, პერეირა, პასკუალე – რანეჯი, დი ნატალე (88. ფაბრინი).

**მილანი (4-3-3):** აბიატი – აბატე, მექსე, ზაპატა, მესბა – ამბროზინი (53. ბოატენგი), მონტოლივო, ნოჩერინო (80. ბოიანი) – ემანუელსონი (69. აჩერბი), ელ შაარავი, პაცინი.

**გოლები:** 1:0 რანეჯი (40), 1:1 ელ შაარავი (54), 2:1 დი ნატალე (68-პენ.).

**გაფრთხილება:** კოდა, პინცი - ამბროზინი.

**გაძევება:** ზაპატა (68. მილანი).

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-10(8-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლაციო-ჯენოა 0:1

**ლაციო (4-[illegible]-2):** მარკეტი – [illegible]კალონი (76. მაური), სიანი, ბიავა, [illegible]ანდა – ლედესმა, კანდრევა (76. კლოზე), ერნანესი, ლულიჩი – სარატე (68. გონსალესი), ჰოზაკი.

**ჯენოა (4-4-2):** [illegible] – [illegible]ზი, გრანკვისტი, კანე[illegible] – [illegible], ანსალდი[illegible] (58. ანტონელი), ტოზსერი, მერკილი (46. იანკოვიჩი) – იმობილე ([illegible]), [illegible].

**გოლი:** 0:1 [illegible] (79).

**გაფრთხილება:** კანდრევა - [illegible].

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 20-6(7-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 40 000

### კალიარი-რომა გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-2 | 12 |
| 2. ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 3. ლაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. სამპდორია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 9 |
| 5. ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 6. ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 7. ჯენოა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 8. კატანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| 9. ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 5 |
| 10. რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 4 |
| 11. ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 4 |
| 12. პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 13. უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 14. ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 15. მილანი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 16. კიევო | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 17. კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 18. პალერმო | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 19. პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |
| 20. სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | -1 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 4 - იოვეტიჩი (ფიორენტინა); 3 – პაცინი (მილანი), კლოზე (ლაციო), ერნანესი (ლაციო), მაქსი ლოპესი (სამპდორია), ჯილარდინო (ბოლონია).

### სერია B. V ტური

**ემპოლი-ტერნანა 0:2**

გოლები: 0:1 პრატალი (16-ს.კ.), 0:2 დიმიტრუ (87).

**ვერონა-ნოვარა 1:1**

გოლები: 1:0 მარტინო (4), 1:1 ალპასანი (84).

**ჩეზენა-ჩიტადელა 1:0**

გოლი: 1:0 ჯოკოვიჩი (86).

**კროტონე-ბარი 0:0**

**იუვე სტაბია-ვარეზე 1:2**

გოლები: 1:0 ბრუნო (23 პენ.), 1:1 ედაგუა (25), 1:2 მომენტე (74).

**მოდენა-ლივორნო 1:0**

გოლი: 1:0 არდემანი (47).

**პადოვა-რეჯინა 3:2**

გოლები: 1:0 ფარიასი (33), 1:1 ვიოლა (42), 2:1 კუფა (45), 3:1 კუტოლო (52), 3:2 ადეჯო (85).

**პრო ვერჩელი-ასკოლი 3:1**

გოლები: 1:0 კარიდი (8), 2:0 ტირიბოკი (17), 3:0 ფაბიანო (45-პენ.), 3:1 სონინი (75).

**სპეცია-სასუოლო 0:2**

გოლები: 0:2 მისიროლი (31), 0:2 ტროიანელო (48).

**ვიჩენცა-ბრეშა 2:2**

გოლები: 1:0 მალონგა (45), 1:1 სალამონი (49), 1:2 კორვია (55), 2:2 გავაცი (79).

**ლანჩანო-გროსეტო 1:1**

გოლები: 0:1 სფორცინი (45-პენ.), 1:1 მოფანა (69-პენ.).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 5 | 5 | 0 | 0 | 12-2 | 15 |
| 2. ლივორნო | 5 | 4 | 0 | 1 | 12-7 | 12 |
| 3. ვარეზე | 5 | 4 | 1 | 0 | 10-5 | 12 |
| 4. ვერონა | 5 | 2 | 3 | 0 | 8-5 | 9 |
| 5. კროტონე | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 6. სპეცია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 7. ბარი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 6 |
| 8. მოდენა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 6 |
| 9. პრო ვერჩელი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 10. ჩიტადელა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 11. ვიჩენცა | 5 | 1 | 2 | 2 | 9-9 | 5 |
| 12. ბრეშა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 13 ჩეზენა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |
| 14. ტერნანა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-4 | 4 |
| 15. პადოვა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 4 |
| 16. ასკოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 3 |
| 17. ლანჩანო | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 18. ნოვარა | 5 | 1 | 4 | 0 | 9-6 | 3 |
| 19. რეჯინა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 2 |
| 20. იუვე სტაბია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |
| 21. ემპოლი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-12 | 1 |
| 22. გროსეტო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 0 |

*შენიშვნა: გროსეტო – 6 ქულა, ბარი – 5, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.*

ბომბარდირები: 5 – პავოლეტი (სასუოლო), მალონგა (ვიჩენცა), 4 – სანსოვინი (სპეცია), სილიგარდი (ლივორნო), 3 – კაპუტო (ბარი), ედაგუა (ვარეზე), გონსალესი (ნოვარა), კონე (ვარეზე), მეპმეთი (ნოვარა), სფორცინი (გროსეტო), სტანკო (მოდენა),

### სერია C1/A

კარპი-კრემონეზე 1:1, კომო-პორტოგრუარო 1:1, კუენო-ალბინოლეფე 0:0, ენტელა-ტრაპანი 3:2, ფერალსპიზალო-რეჯანა 2:1, ლუმეცანე-სუდტიროლი 1:0, ტრევიზო-ლეჩე 1:3, სან მარინო-პავია (დღეს).

### სერია C1/B

ბენევენტო-აველინო 1:2, ანდრია-პერუჯა 1:1, კარარეზე-ვიარეჯო 1:3, გუბიო-პიზა 2:1, ლატინა-სორენტო 1:0, პაგანეზე-კატანძარო 0:0, პრატო-ფროზინონე 0:1, ბარლეტა-ნოჩერინა 0:0.

ესპანეთი. ლა ლიგა. V ტური

# ვინ გადაჭრა კაბელი?

## და დღის კიდევ ერთი კითხვა: მოკვდა თუ არა ფრანკო


საბოტაჟი მადრიდში

წუხელ ჩემპიონი „ესტადიო დე ვალეკასს“ სტუმრობდა, „რეალს“ მხოლოდ 4 ქულა აქვს, ამიტომ ძალიან უჭირს ლა ლიგაში. მოკლედ, ყველაფერს ველოდით, დაძაბულ დერბის, „რეალის“ შეტევებს, „ელვების“ დაცვით ბასტიონს, მაგრამ ამას არა - გუნდები, მაყურებელი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ: განათების სისტემა ვერაფრით ჩართეს, მერე აღმოჩნდა, რომ კაბელები ვილაცას გადაუჭრია...

21-ე საუკუნეში, შუაგულ დასავლეთ ევროპაში, ევროპულმა გრანდმა ვერ ითამაშა - შეხვედრა დღეისთვის (22 სთ.) გადაიდო. ასე რომ, „რეალი“ „ბარსელონას“ უკვე 11 ქულით ჩამორჩება.

### პირველი გამარჯვება

მშობლიურ „რომარედაზე“ „სარაგოსამ“ სეზონში პირველად იმარჯვა, აუტსაიდერად ქცეული „ოსასუნა“ 3:1 დაამარცხა. სხვათა შორის, ბოლო 5 წელიწადში არაგონელებმა პირველად შეძლეს ნავარელების დამარცხება. თამაში სტუმართათვის ცუდი სცენარით დაიწყო, **ვიქტორმა** ბურთი **ელდერ პოშტიგასთან** გაითამაშა და პორტუგალიის ნაკრების ფორვარდმა **ლოლოს** აჯობა, შემდეგ კი მეკარე **ფერნანდესს** გაუტანა. ამის მერეც მასპინძლებს კიდევ უფრო წინ გასვლა შეეძლოთ, მაგრამ კონტრშეტევაზე დაისაჯნენ, როცა **ემილიო არმენტეროსმა** ლამის მთელი მოედანი გადაიარა ბურთით ისე რომ წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მალე ყველაფერი ისევ „სარაგოსას“ სასარგებლოდ შეიცვალა, როცა **ტიმორმა** თავურით საკუთარი კარი აილო. მატჩის ბედი მეორე ტაიმის ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა, როცა **რაულ ლომ** უხეშად ითამაშა საჯარიმოში **ხოსე მარია მოვილიას** წინააღმდეგ. პენალტი უნაკლოდ **აპონიომ** შეასრულა.

### პირველი კორეელი ვინც...

„სელტას“ ყველა ქულა „ბალაიდოსზე“ აქვს მოპოვებული, ამჯერად გალისიურმა კლუბმა „ხეტაფე“ კორეელი **პარკის** გოლის წყალობით დაამარცხა - 2:1. მეორე ტაიმში „სელტა“ დაწინაურდა, **მიკაელ კრონ-დელიმ** დასარტყამ პოზიციაზე **აუგუსტო ფერნანდესი** გაიყვანა. მაგრამ ორ წუთში **დიეგო კასტრომ** ყველაფერი გააკეთა, რომ **აბდელაზიზ ბარადას** 4 მატჩში მესამე გოლი გაეტანა. და მაინც, გამარჯვებისა მასპინძელმა გაიტანა, „არსენალის“ კორეელმა ფორვარდმა ჩუ იუნ პარკმა, რომელიც ვიგოში იჯარით თამაშობს. აღსანიშნავია, რომ ორივე საგოლე პასი დანიელმა მიკაელ კრონ-დელიმ შეასრულა. ბოლო წუთებზე გოლების გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა. „ხეტაფესთვის“ „რეალის“ დამარცხება ჯერჯერობით ერთადერთ გამარჯვებად რჩება სეზონში. 26 წლის პარკი კი პრიმერას ისტორიის კუთვნილება გახდა - მან ლამის პირველივე შეხებით გაიტანა და გახდა პირველი კორეელი, ვინც ესპანეთის ჩემპიონატში ის მოახერხა.

### შიში ოხერია?

„ბეტისის“ პრეზიდენტი **მიგელ გილენი** უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა, ამბობდა, რომ კლუბმა შარშანდელი შედეგი (მე-13 ადგილი) აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს, თორემ პეპე მელი დაკარგავს სამსახურს. მელის ბიჭებმა კრიტიკას მორიგი სამი ქულით უპასუხეს - **პაულაუს** გოლით „ესპანიოლი“ 1:0 დაამარცხეს. მე-18 წუთზე **კაპდევილა** დაჯარიმდა, საჯარიმო, ბუნებრივია, **ბენიატმა** შეასრულა და პაულაუმაც თავით გაიტანა ბარსელონელთა კარში.

### თითქმის როგორც თბილისში

ეს შეხვედრა (განსაკუთრებით მე-2 ტაიმი) ძალიან წააგავდა, 11 სექტემბრის თბილისურ მატჩს - იგივე ტიკი-ტაკა და თითქმის იგივე ალყა (ამჯერად, „ბარსელონას“ შესრულებით „გრანადას“ კართან). გოლიც, რომელმაც „ბარსას“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოუტანა, იმ დროს გავიდა, ოღონდ გაცილებით მაგარი იყო, ვიდრე **სოლდადოს** გოლი საქართველოს ნაკრების კარში - **ჩავიმ** ხარიხას გაარტყა ბურთი და ისე გავიდა **ტონიოს** კარში, რომელიც მანამდე სასწაულებს სჩადიოდა (აქაც შეიძლება შედარება **ლორიასთან**). აღსანიშნავია, რომ (ისევე როგორც საქართველოს) ერთი 100%-იანი საგოლე მომენტი „გრანადასაც“ ჰქონდა. ბოლოს კი სტუმართა მცველები ისე დააბნია **მესიმ** საჯარიმოში, რომ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრეს - 2:0. და რატომ არა პირველში? პასუხი მარტივია - **ინიესტა** ტრავმირებულია, ხოლო ჩავი სკამზე იჯდა, ამ ორის გარეშე კი მესი ფრთაშეკვეცილივითაა. სხვათა შორის, მცირე ინციდენტი მოხდა ლიონელ მესისა და **დავიდ ვილიას** შორის, თუმცა ეს მხოლოდ სათამაშო ეპიზოდი იყო.

### თამაში ვალენსიასი, გოლები მალიორკასი

„მალიორკას“ ფანტასტიკური სტარტი გამოუვიდა, გუშინ ბალეარულმა გუნდმა „ვალენსიას“ აჯობა, გუნდს, რომელსაც 90 წუთის განმავლობაში სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გოლები მხოლოდ „ლამურების“ კარში გადიოდა - 2:0. **ვიქტორ კასადესუსმა** პირველ ტაიმში გახსნა ანგარიში, შესვენებამდე „ლოს ჩეს“ მრავალი შანსი ჰქონდა გათანაბრების, მათ შორის, ყველაზე ახლოს გოლთან **ნელსონ ვალდესი** იყო, რომელმაც ბურთი ხარიხას მოარტყა. მეორე ტაიმის დასაწყისში ვიქტორის პასით **ხავიერ არისმენდიმ** გაიტანა.

### ობაფემის გოლიანი დებიუტი

„ლევანტეს“ რიგებში სადებიუტო მატჩშივე გამართლა ნიგერიელმა **ობაფემი მარტინსმა**, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გაიტანა გამარჯვების გოლი „რეალ სოსიედადის“ კარში - 2:1. „ატლეტიკომ“ ზედიზედ მეხუთე მატჩში იმარჯვა, თუმცა სეგუნდადან დაწინაურებულმა „ვალიადოლიდმა“ მასპინძელთა გუნდი გვარიანად აწვალა. პირველ ტაიმში ჯერ **დიეგო გოდინმა** გადაუგდო თავზე **ხაიმეს**, შემდეგ **რადამელ ფალკაომ** გაიტანა პენალტის ნიშნულიდან. მეორე ტაიმში კი „ატლეტიკოს“ გაუჭირდა, **ტიბო კურტუაც** ანერვიულდა (მან ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა **ბუენოს** დარტყმისას) და **სიმეონეს** გუნდმა სამი ქულა ძლივს შეინარჩუნა. თამაშის შემდეგ მსაჯობით გაცოფებული იყო **მიროსლავ ჯუკიჩი**, „ვალიადოლიდის“ თავკაცმა თქვა, რომ ზოგიერთებმა ჯერ ვერ გაითავისეს, რომ დიქტატორი **ფრანკო** მოკვდაო. „მალაგა“ კვლავ წაუგებელია, ამჯერად, **მანუელ პელეგრინის** გუნდმა „სან მამესზე“ გაძლო - 0:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



გრანადას კართან სულ ალიაქოთი იყო

**გამოტოვებული მატჩი**

26 სექტემბერი: ბეტისი-ატლეტიკო

**მომდევნო ტური**

29 სექტემბერი: ვალენსია-სარაგოსა, მალაგა-ბეტისი, რეალ სოსიედადი-ბილბაო, სევილია-ბარსელონა.

30 სექტემბერი: გრანადა-სელტა, ვალიადოლიდი-რაიო ვალეკანო, ოსასუნა-ლევანტე, რეალი-დეპორტივო, ესპანიოლი-ატლეტიკო.

1 ოქტომბერი: ხეტაფე-მალიორკა.

**პორტუგალია**

ლიგა საგრეში. IV ტური

**მორეირენშე-გიმარაეში 0:1**

**გოლი:** 0:1 ადი (58)

**გაძევება:** აუგუსტო (2. მორეინენშე)

**პორტუ-ბეირა მარი 4:0**

**გოლები:** 1:0 მარტინესი (32), 2:0 ვარელა (38), 3:0 ჯ. როდრიგესი (47), 4:0 მაიკონი (70)

**ნასიონალი-ფერეირა 3:3**

**გოლები:** 1:0 კლაუდემირი (5), 1:1 მ. ჟოზე (42), 2:1 მატეუში (48), 3:1 და კოშტა (68), 3:2 ვიტორი (87), 3:3 სისერო (90)

**გაძევება:** მარკალი (51. ნასიონალი), ანტუნეში (76. ფერეირა)

**სეტუბალი-ოლანენშე 1:0**

**გოლი:** 1:0 მეიონგი (48-პენ)

**ბრაგა-რიუ ავე 4:1**

**გოლები:** 1:0 ედერი (45), 1:1 ედიმარი (53), 2:1 ამორიმი (63), 3:1 ედერი (69), 4:1 კუსტოდიო (75-პენ)

**გაძევება:** ნივალდო (73. ოლანენშე)

**აკადემიკა-ბენფიკა 2:2**

**გოლები:** 1:0 ს. სისე (26-პენ), 1:1 კარდოსო (51-პენ), 2:1 ედუარდო (70-პენ), 2:2 ლიმა (85)

**გაძევება:** გალო (48. აკადემიკა)

**ეშტორილი-მარიტიმუ** დღეს

**სპორტინგი-ჟილ ვისენტე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2. ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 12-4 | 8 |
| 3. ბრაგა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| 4. ფერეირა | 4 | 1 | 3 | 0 | 7-5 | 6 |
| 5. მორეირენშე | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 6. მარიტიმუ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 7. გიმარაეში | 4 | 1 | 2 | 1 | 3-6 | 5 |
| 8. სეტუბალი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-7 | 5 |
| 9. აკადემიკა | 4 | 0 | 4 | 0 | 6-6 | 4 |
| 10. ოლანენშე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 11. რიუ ავე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 12. ჟილ ვისენტე | 3 | 0 | 3 | 0 | 0-0 | 3 |
| 13. ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 14. სპორტინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 15. ნასიონალი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-11 | 2 |
| 16. ბეირა მარი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-11 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა); 3 - ედინიო (აკადემიკა), ჯ. მარტინესი (პორტუ), როდრიგო (ბენფიკა).

**სარაგოსა-ოსასუნა 3:1**

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპურანუ, ალვარო, პარედესი, აბრაამი - ხოსე მარი (72. სუკულინი), რომარიკი (60. მოვილია) - მონტანიესი, აპონიო, ვ. როდრიგესი - პოშტიგა (68. არანდა).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ოიერი, ლოლო, არიბასი, ნანო (67. ნინო) - ლო (74. ანანი), ტიმორი - სეხუდო, არმენტეროსი, სისი (56. ლამა) - კიკე სოლა.

**გოლები:** 1:0 პოშტიგა (4), 1:1 არმენტეროსი (29), 2:1 ტიმორი (45 ს.კ.), 3:1 აპონიო (71-პენ)

**გაფრთხილება:** აბრაამი, პარედესი - ლო, არმენტეროსი

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 10-11 (4-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 500

**სელტა-ხეტაფე 2:1**

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, ა. ლოპესი (83. ტონი) - ა. ფერნანდესი, ბერმეხო (65. პარკი), კრონ-დელი - ასპასი (81. ინსა).

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, ალექსისი, მ. ტორესი - ხ. ტორესი, მიჩელი (46. ლასენი) - პედრო ლეონი (73. ალკასერი), ბარადა, დ. კასტრო - ა. ვასკესი (64. კოლუნგა).

**გოლები:** 1:0 ა. ფერნანდესი (57), 1:1 ბარადა (59), 2:1 პარკი (68)

**გაფრთხილება:** ლაგო, პარკი, კრონ-დელი, კაბრალი - ლოპო, მიჩელი, ალექსისი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14-6 (6-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 000

**ბეტისი-ესპანიოლი 1:0**

**ბეტისი (4-2-3-1):** კასტრო - ნელსონი, პაულაუ (40. პერკისი), მარიო, ნაჩო - ბენიატი (76. ნოსა), რ. პერესი - აგრა, პოსუელო (55. ნონო), ხუან კარლოსი - რ. კასტრო.

**ესპანიოლი (4-4-2):** კ. ალვარესი - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, კაპდევილა (78. ვ. ალვარესი) - ტეხერა (58. რუი ფონტე), ვ. სანჩესი, ვერდუ, ვაკასო - სიმაო (58. კ. გომესი), სტუანი.

**გოლი:** 1:0 პაულაუ (18)

**გაფრთხილება:** ბენიატი, პერესი, ნელსონი, ნონო, აგრა, კასტრო - ტეხერა, ვაკასო, ლოპესი, სტუანი, ალვარესი

**გაძევება:** ვაკასო (66)

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 24-13; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-11 (3-2); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 35 000

**ბარსელონა-გრანადა 2:0**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, სონგი, მასკერანო, ადრიანო (72. ტელიო) - ფაბრეგასი, ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა (53. ჩავი) - სანჩესი, მესი, ვილია (52. პედრო).

**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ნიომი, ი. ლოპესი, ბ. გომესი, სიკეირა - ირინეი, მ. რიკო - ტორიჟე (65. ორტისი), ბრაიმი (73. ხაიმე), ორელიანა - ფლორო ფლორესი (57. ელ-არაბი).

**გოლები:** 1:0 ჩავი (86), 2:0 ბ. გომესი (92 ს.კ.)

**გაფრთხილება:** ფლორო ფლორესი, ტონიო, გომესი

**კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 20-6 (11-3); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 80000

**მალიორკა-ვალენსია 2:0**

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ჩ. ნავარო, ა. კონსეისაო, ჟერომელი, ა. ლოპესი - ნსუე, პინა, ხ. მარკესი (19. ჟოაო ვიქტორი), მ. პერეირა (53. ალფარო) - ჰემედი (53. არისმენდი), ვიქტორი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა (79. ბარაგანი), რამი, რუისი, სისოკო - პარეხო (67. ჟონასი), ტინო კოსტა - ფეგული, ვალდესი (79. გუარდადო), ვიერა - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 ვიქტორი (7), 2:0 არისმენდი (55)

**გაფრთხილება:** პერეირა, არისმენდი, პინა, ლოპესი - კოსტა, პარეხო, სოლდადო, სისოკო

**კუთხური:** 0-9; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 6-27 (3-7); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 15 000

**ლევანტე-სოსიედადი 2:1**

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - პ. დიოპი, იბორა (46. მარტინსი) - ელ-ზარი, ბარკერო, ხუანლუ (72. პ. რიოსი) - რ. გარსია (55. მიჩელი).

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა, ილარამენდი (80. ხ. რიოსი) - ველა, ზურუტუზა (76. ჩაბი პრიეტო), ხოსე ანხელი (46. დ. კასტრო) - გრიზმანი.

**გოლები:** 0:1 ზურუტუზა (22), 1:1 ბარკერო (70-პენ), 2:1 მარტინსი (86)

**გაფრთხილება:** ხუანფრანი, ნავარო - ესტრადა, მარტინესი, ილარამენდი, ველა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 20-9; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16-17 (6-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 16 000

**ატლეტიკო-ვალიადოლიდი 2:1**

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, ტიაგო, გაბი (61. მ. სუარესი), არდა თურანი - ფალკაო (46. ადრიან ლოპესი), დ. კოშტა (87. კ. როდრიგესი).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - სასტრე (2. რუბიო), ვ. პერესი - ბუენო, ოსკარი, ომარი (70. ლოლო) - გერა (62. მანუჩო).

**გოლები:** 1:0 გოდინი (30), 2:0 ფალკაო (44-პენ), 2:1 ბუენო (54)

**გაფრთხილება:** მირანდა, გაბი - ოსკარი, პერესი, ომარი, რუკავინა, ბუენო, მანუჩო

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14-4 (7-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 47 000

**ბილბაო-მალაგა 0:0**

**ბილბაო (4-2-3-1):** ი. ფერნანდესი - ირაოლა, [illegible] მარკოსი - სუსაეტა, მუნიაინი (87. ტოკერო), ი. ლოპესი (46. ი. გომესი) - ადურისი (46. ფ. ლორენტე).

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ტულალანი (78. იტურა), ნაჩო კამაჩო - ხოაკინი (66. პორტილიო), ისკო, ელიზეუ - სავიოლა (56. სანტა კრუსი).

**გაფრთხილება:** გურპეგი, ადურისი, დე მარკოსი - დემიკელისი, ველიგტონი, გამესი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 7-6; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 9-12 (1-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 28 000

**ვალეკანო-რეალი**

*გადაიდო, დღეს გაიმართება 22:00*

**დეპორტივო-სევილია**

*დღეს. 23:45*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 |
| 2. მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 3. მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 4. ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 11-5 | 10 |
| 5. ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 6. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 7. ვალეკანო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. ლევანტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 9. დეპორტივო | 4 | 1 | 3 | 0 | 7-5 | 6 |
| 10. სელტა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-6 | 6 |
| 11. სარაგოსა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 12. ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 13. სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 6 |
| 14. ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 15. ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-12 | 5 |
| 16. ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 17. რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 18. გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 19. ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 7-11 | 1 |
| 20. ოსასუნა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 5 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), ტომერ ჰემედი (მალიორკა)

**სეგუნდა დივიზიონი. VI ტური**

**ერკულესი-ბარსელონა II 0:3**

**გოლები:** 0:1 ლ. ალბერტო (72), 0:2 ლომბანი (87-პენ), ესპინოსა (90)

**სპორტინგი-ალკორკონი 2:1**

**გოლები:** 0:1 ი. ერნანდესი (17 ს.კ.), 1:1 ი. ერნანდესი (49), 2:1 დ. როდრიგესი (78)

**პონფერადინა-ალმერია 2:2**

**გოლები:** 1:0 ლაფუენტე (14), 1:1 სორიანო (17), 2:1 იური (45-პენ), 2:2 ულოა (70)

**ლას პალმასი-ვილიარეალი 2:2**

**გოლები:** 0:1 სენა (7-პენ), 1:1 ტიევი (46), 2:1 ტიევი (71)

**საბადელი-ხერესი 3:0**

**გოლები:** 1:0 მოა (42), 2:0 ტორტოლერო (49), 3:0 ესპასანდინი (55)

**უელვა-ლუგო 3:0**

**გოლები:** 1:0 ბროზეკი (55), 2:0 რუბიო (63), 3:0 ვეგა (79)

**მირანდესი-რასინგი 0:1**

**გოლი:** 0:1 კონე (82)

**უესკა-ელჩე 0:0**

**გვადალახარა-რეალი II 3:4**

**გოლები:** 0:1 ხესე (12), 1:1 ა. ფერნანდესი (34), 2:1 აზკორა (52), 2:2 ხესე (54), 2:3 ჩერიშევი (66), 3:3 ალვარო (68), 3:4 მოსკერა (80)

**კორდობა-ხირონა 2:0**

**გოლები:** 1:0 რენელია (51), 2:0 კ. გარსია (77)

**გაძევება:** ტენა (40. კორდობა), დ. გარსია (43. ხირონა)

**ნუმანსია-მურსია 1:0**

**გოლი:** 1:0 სანი (49)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 6 | 5 | 1 | 0 | 12-5 | 16 |
| 2. ვილიარეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 8-4 | 14 |
| 3. ალმერია | 6 | 4 | 1 | 1 | 14-10 | 13 |
| 4. ბარსელონა II | 6 | 4 | 0 | 2 | 14-9 | 12 |
| 5. საბადელი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-4 | 11 |
| 6. ხირონა | 6 | 3 | 1 | 2 | 12-5 | 10 |
| 7. ალკორკონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 8. უელვა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| 9. უესკა | 6 | 2 | 3 | 1 | 8-6 | 9 |
| 10. რეალი II | 6 | 3 | 0 | 3 | 13-13 | 9 |
| 11. ნუმანსია | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 9 |
| 12. კორდობა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 13. რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-4 | 8 |
| 14. მურსია | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 8 |
| 15. ლუგო | 6 | 1 | 3 | 2 | 6-10 | 6 |
| 16. ხერესი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-12 | 6 |
| 17. მირანდესი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-5 | 5 |
| 18. სპორტინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 19. ლას პალმასი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-14 | 5 |
| 20. პონფერადინა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-10 | 4 |
| 21. ერკულესი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-9 | 3 |
| 22. გვადალახარა | 6 | 0 | 1 | 5 | 6-17 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ხესე როდრიგესი (რეალი II), ანიბალ სურდო (საბადელი); 4 - ორიოლ რიერა (ალკორკონი), ფერნანდო სორიანო (ალმერია).

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური




ეშლი კოულმა ჩელსის 3 ქულა მოუტანა

# ფეხბურთის შავი ლაქა

## ჩელსი კოჭლობს

**ეშლი კოულის** გოლი რომ არა, "ჩელსი" პირველ ქულებს დაკარგავდა "სტემფორდ ბრიჯზე". **ტონი პულისის** "სტოკ სიტიმ" წელს ქულები უკვე ორ გრანდს "მანჩესტერ სიტისა" და "არსენალს" დააკარგვინა და შეეძლო, ეს ჩემპიონატის მესამე ფავორიტთანაც გაეკეთებინა. მატჩი "ჩელსის" სოლიდური უპირატესობით დაიწყო. დედაქალაქელებმა ზედიზედ ჩამოაწოდეს რამდენიმე კუთხური და საჯარიმო, მაგრამ **ასმირ ბეგოვიჩს** კარებს გასაღები ვერ მოუძებნეს. სტუმრებმა პირველსავე ტაიმში **ჯონათან უოლტერსის** თავურით უპასუხეს, რომელიც ხარიხას მოხვდა. მეორე ნახევარში სიტუაცია შედარებით გათანაბრდა. ინიციატივას ხან ერთი გუნდი ფლობდა, ხან - მეორე. ჰიპერაქტიური იყო შეტევით ფაზაში **ბრანისლავ ივანოვიჩი**. სერბი მცველი ბევრად უფრო სახიფათო იყო ვიდრე **ფერნანდო ტორესი**. მატჩის დასრულებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა ივანოვიჩი-**მატა**-კოულის ეფექტური კომბინაცია უკანასკნელის გოლით დასრულდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ლურჯებს" გაუმართლათ. როდემდე იქნება ფორტუნა მათ მხარეზე ამას მალე ვნახავთ. რაკი "ჩელსიზე" ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ შაბათს **დავიდ ლუისმა** კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.




ლესკოტის გოლისას არსენალის დაცვა სასტიკად შეცდა

## წმინდანების პირველი სამი

"საუთჰემპტონმა" პირველი თამაში მოიგო და თანაც ბრწყინვალე სტილში. პრემიერლიგის გრანდებთან მიჯრით ნაგებული თამაშების შემდეგ "წმინდანებმა" თავიანთი კალიბრის გუნდებთან უნდა დაამტკიცონ რისი თავიც აქვთ. პირველი ასეთი მცდელობა, როგორც ხედავთ, ბრწყინვალე შედეგით დასრულდა. ასე რომ, "საუთჰემპტონს" უპირობო აუტსაიდერად ნურავინ მიიჩნევს. "წმინდანებზე" ბოლოს იმას გეტყვით, რომ გუნდმა ამ უქმეებზე პოლონელ **არტურ ბორუცს** გაუფორმა ხელშეკრულება და განაცხადშიც შეიყვანა.

## ლოგიკური ფრე

"ვესტ ჰემისა" და "სანდერლენდის" დაპირისპირება განსაკუთრებულ ინტერესს თუნდაც იმიტომ იწვევდა, რომ ერთმანეთის პირისპირ **სემ ელერდაისისა** და **მარტინ ო'ნილის** გუნდები უნდა წარმდგარიყვნენ. ამაზე მატჩის წინა მიმოხილვაშიც ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, თანაბარი პოტენციალის გუნდების დაპირისპირება ლოგიკური შედეგით დასრულდა. სტუმართა მხრიდან თავი, რა თქმა უნდა, **სტივენ ფლეტჩერმა** გამოიჩინა. 25 წლის შოტლანდიელი ფანტასტიკურ ფორმაშია.

## გედები უკან იხევენ

შაბათის მატჩებზე წერას "სუონსი"-"ევერტონით" დავასრულებთ. სიმართლე გითხრათ, მერსისაიდელთა ამხელა ანგარიშით გამარჯვებას არ ველოდით. განადგურებას ვერც "გედების" რიცხვნაკლულობას დავაბრალებთ, რადგან **ნათან დაიერის** გაძევებამდე უელსელებს 2 გოლი ჰქონდათ მიღებული. 21-ე წუთზე ანგარიში **მარუან ფელაინის** წყალობით გაიხსნა, რომელმაც **ვიქტორ ანიჩებეს** მშვენიერ პოზიციაზე პასი... ხელით დაუგდო. არბიტრმა ეს ვერ შენიშნა და გოლი ჩათვალა. ტაიმის მიწურულს ფელაინი-**პიენაარის** კონტრშეტევა **კევინ მირალიაშმა** დააგვირგვინა. საბოლოო ანგარიში გუდისონპარკელთა ლიდერმა ფელაინიმ დააფიქსირა.

## ზედიზედ მეორე

"უაით ჰართ ლეინზე" თამაში მასპინძელთა უკანმოუხედავი შეტევებით დაიწყო, თუმცა სტუმრებისთვის ეს სიურპრიზი არ აღმოჩნდა და მათ მოქმედებებში პანიკის ნიშანწყალიც არ შეინიშნებოდა. მე-3 წუთზე მიიღო ტრავმა **ჟოზე ბოსინგვამ**. **მარკ ჰიუზი** იძულებული გახდა, გამოცდილი პორტუგალიელი შეეცვალა. ანგარიში 33-ე წუთზე **ფორლინის** გადაცემის წყალობით **ზამორამ** გახსნა. "დეზებმა" თამაში სათავისოდ მე-2 ტაიმის 2-წუთიან მონაკვეთში შეატრიალეს. ფორლინმა მხრით დალაშქრა საკუთარი კარი. მატჩს ბეჭედი **დეფომ** დაუსვა, ვინც სეზონის მე-4 გოლი შეაგდო.

## კარგი ლივერპული

ეს უკვე სიახლეა. **ბრენდან როჯერსს,** როგორც ჩანს, "ლივერპული" ნელ-ნელა მოჰყავს თავის ჭკუაზე. "წითლებმა", იმის მიუხედავად, რომ 50 წუთზე მეტი კაცნაკლულებმა ითამაშეს, ახერხებდნენ და მრისხანე მეტოქეს მომენტებში ბურთს უმალავდნენ. თამაში "იუნაიტედის" სერიოზული უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მასპინძელმა მატჩის სადავეები მალე ჩაიგდო ხელთ. 38-ე წუთზე **ჯონჯო შელვი ჯონი ევანსის** წინააღმდეგ ბინძური თამაშისთვის მინდვრიდან მიაბრძანეს. შესაძლოა, არბიტრს ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება არც მიეღო, მაგრამ ფეხბურთელმა რამდენიმენამიანი ინტერვალით ორჯერ იუხეშა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა **სტივ ჯერარდმა** გაიტანა. "იუნაიტედი" ცოტა კი დაიბნა, მაგრამ მერე **რაფაელის** სუპერგოლით აღადგინა წონასწორობა. ის, რაც 81-ე წუთზე მოხდა, თანამედროვე ფეხბურთის აქილევსის ქუსლია – მსაჯმა **ხოსე რეინას** კარში არარსებული პენალტი დანიშნა. ამ ეპიზოდში **დანიელ აგერმა** ცენტრში ბურთი დაკარგა და იქვე სცადა მისი დაბრუნება, მაგრამ **ანტონიო ვალენსიას** ნაცვლად **გლენ ჯონსონი** წააქცია. ეკვადორელი საჯარიმოში შეიჭრა და იმავე ჯონსონთან "შეტაკებისას გმირულად დაეცა". გამეორებაზე აშკარად გამოჩნდა, რომ სამხრეთამერიკელს არავინ შეხებია. რეინას სულ ცოტა დააკლდა, რომ **რობინ ვან პერსის** პენალტი აეღო, მაგრამ დარტყმა მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდა.

## ბრწყინვალე არსენალი

"არსენალი" ვან პერსის გაყიდვის მიუხედავად დიდებულ გუნდად რჩება. შეხვედრის დებიუტი უსახური გამოდგა. პირველი რეალური საგოლე სიტუაცია მხოლოდ მე-14 წუთზე შეიქმნა, როცა **ჟერვინიო ჰარტს** პირისპირ შეეყარა. თავდამსხმელმა წარმოუდგენლად ცუდად ითამაშა და მომენტი ქარს გაატანა. მე-40 წუთზე ანგარიში მოულოდნელად გაიხსნა. კუთხურის ჩაწოდების შემდეგ **ლესკოტმა კოშელნის** აჯობა – 1:0. მიუხედავად ანგარიშში უპირატესობისა, **რობერტო მანჩინი** უკმაყოფილო იყო მისი გუნდის თამაშით, რის გამოც მთელ რიგ ტაქტიკურ ცვლილებებს მიმართა. რალაც პერიოდი გადაადგილებებმა თითქოს გაამართლა კიდეც, მაგრამ... **არსენ ვენგერმა** ყველაფერი კარგად წაიკითხა – შეტევაში **ჟირუ** და **უოლკოტი** ჩართო და თამაში დაიჭირა. ბოლო 20 წუთის განმავლობაში "მეთოფეებმა" მეტოქეს ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. კუთხურის გათამაშების შემდეგ გოლი კოშელნიმ შეაგდო. ორ წუთში "სიტის" ხელახლა შეეძლო წინ გასვლა, მაგრამ იმავე ფრანგი სტოპერის საჩუქარი **კარლოს ტევესმა** ვერ შეიშნო.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

### მომდევნო ტური

29 სექტემბერი: არსენალი-ჩელსი, ევერტონი-საუთჰემპტონი, ფულჰემი-მანჩესტერ სიტი, ნორვიჩი-ლივერპული, რედინგი-ნიუკასლი, სტოკ სიტი-სუონსი, სანდერლენდი-უიგანი, მანჩესტერ იუნაიტედი-ტოტენჰემი,
30 სექტემბერი: ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი
1-ლი ოქტომბერი: ქუინზ პარკი-ვესტ ჰემი

### შოტლანდია

პრემიერლიგა. VII ტური

| | |
|---|---|
| სელტიკი-დანდი | 2:0 |
| დანდი იუნ-ჰართსი | 0:3 |
| ჰიბერნიანი-ინვერნესი | 2:2 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 3:1 |
| როს ქაუნთი-სტ. ჯონსტონი | 1:2 |
| აბერდინი-მოზერველი | 3:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოზერველი | 7 | 3 | 4 | 0 | 13-8 | 13 |
| 2. ჰიბერნიანი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-10 | 12 |
| 3. სელტიკი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 4. კილმარნოკი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-7 | 9 |
| 5. ჰართსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 6. სტ. მირენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| 7. დანდი იუნ | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 8. აბერდინი | 7 | 1 | 5 | 1 | 6-6 | 8 |
| 9. როს ქაუნთი | 7 | 1 | 5 | 1 | 3-3 | 8 |
| 10. სტ. ჯონსტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| 11. ინვერნესი | 7 | 0 | 5 | 2 | 11-16 | 5 |
| 12. დანდი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-10 | 4 |

### სუონსი-ევერტონი 0:3

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – რანხელი, ტეიტი (55. ბრიტონი), უილიამსი, დევისი – სუნ იონი, დე გუზმანი – რუტლეჯი, მიჩუ, პ. ერნანდესი (46. ნ. დაიერი) – გრემი (71. შეხტერი)

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – კოულმენი, იაგიელკა, ჰეიტინგა, ბეინსი – მირალიაში (74. ნეისმიტი), ნევილი, ოსმანი, პიენაარი (86. გუიე) – ფელაინი (86. ოვიედო) - ანიჩებე

**გოლები:** 0:1 ანიჩებე (22), 0:2 მირალიაში (43), 0:3 ფელაინი (82)

**გაფრთხილება:** უილიამსი, სუნ იონი, რანხელი, მიჩუ - ოსმანი

**გაძევება:** ნ. დაიერი (58)

**კარში დარტყმა:** 11-20 (6-12) **კუთხური:** 8-3 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 23-9 **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 20464

### ჩელსი-სტოკ სიტი 1:0

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ივანოვიჩი, დ. ლუისი, გ. კეჰილი, ე. კოული – რამირესი, მიკელი (81. ლემპარდი) – ოსკარი, მატა (89. ტერი), აზარი (62. მოზესი) - ტორესი

**სტოკ სიტი** (4-2-3-1): ბეგოვიჩი – კემერონი, ჰუთი, შოუკროსი, უილსონი – ნ'ზონზი, უელანი – უოლტერსი, ადამი (64. ოუენი), კაიტლი (72. ეთერინგტონი) – კრაუჩი (75. კ. ჯონსი)

**გოლი:** 1:0 კოული (85)

**გაფრთხილება:** ოსკარი, დ. ლუისი - ადამი

**კარში დარტყმა:** 13-10 (5-3) **კუთხური:** 13-3 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 14-18 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 41 112

### საუთჰემპტონი-ასტონ ვილა 4:1

**საუთჰემპტონი** (4-4-2): გასანიგა – კლაინი, იოშიდა, ხ. ფონტე, ფოქსი (46. რიჩარდსონი) – პუნჩეონი (74. მაუკა), შნაიდერლინი, ს. დევისი (79. ვორდპრაუსი), ლალანა – ლამბერტი, რამირესი

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – ლოუტონი, ვლაარი, კლარკი, ლიშაი (68. ბენეტი) – ჰოლმენი, აირლანდი (46. ვესტვუდი), ელ აჰმადი, ბენანი (68. აგბონლაჰორი) – ბენტი, ბენტეკე

**გოლები:** 0:1 ბენტი (36), 1:1 ლამბერტი (58), 2:1 კლაინი (63), 3:1 პუნჩეონი (72), 4:1 ლამბერტი (90+4-პენ)

**გაფრთხილება:** კლაინი – ვლაარი, ლიშაი, გუზანი

**კარში დარტყმა:** 12-8 (6-4) **კუთხური:** 1-4 **თამაშგარე:** 5-3 **ჯარიმა:** 6-12 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 30 713

### ვესტ ბრომვიჩი-რედინგი 1:0

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-1-1): ფოსტერი – ბ ჯონსი, მაკოლი, ი. ოლსონი, რიჯუელი - მორისონი (65. ლონგი), მულუმბუ, იაკობი, ბრანტი – გერა (70. დორანსი) – ლუკაკუ (78. როზენბერგი)

**რედინგი** (4-5-1): მაკარტი – განტერი (80. რობსონ-კანუ), პირსი, გორკსი, შორი – მაკლირი, ლიგერტვუდი, გატრი, მაკანუფი – პოგრებნიაკი (69. ჰანტი), ლე ფონდრე

**გოლები:** 1:0 ლუკაკუ (71)

**გაფრთხილება:** იაკობი -

**კარში დარტყმა:** 8-7 (5-1) **კუთხური:** 9-1 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 14-7 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 23 854

### ვესტ ჰემი-სანდერლენდი 1:1

**ვესტ ჰემი** (4-3-3): იასკელაინენი – დემელი, კოლინზი, რიდი, ო'ბრაიენი – დიამე, ნოუბლი, ნოლანი – ვას ტე (57. ჯარვისი), კ. კოული (77. მაიგა), მ. ტეილორი (57. ბენაიუნი)

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – კ. გარდნერი, ო'ში, ბრამბლი, როუზი – ლარსონი (62. დ. ვონი), კოლბეკი, ჯ. კატერმოული, მაკლინი – სესინიონი (71. ფ. კემპბელი – 90. მეილერი) – ს. ფლეტჩერი

**გოლები:** 0:1 ფლეტჩერი (9), 1:1 ნოლანი (90+2)

**გაფრთხილება:** რიდი, იასკელაინენი – კ. გარდნერი

**კარში დარტყმა:** 13-4 (4-2) **კუთხური:** 10-1 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 13-13 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 33 052

### უიგანი-ფულჰემი 1:2

**უიგანი** (3-4-3): ალ-ჰაბსი – რამისი, კოლდუელი (77. მიაიჩი), ფიგეროა – ბოისი (77. მაკმანამანი), მაკარტი, უოტსონი, ბოსეჟური – ხ. გომესი (62. ბოსელი), კონე, მელონი

**ფულჰემი** (4-5-1): შვარცერი – რიტერი, ა. ჰიუზი, ჰანგელანდი, რიისე – დაფი, ბეირდი, სიდუელი, კაჩანიკლიჩი (59. რუისი) – ბერბატოვი, როდალიეგა (88. ბრიგსი)

**გოლები:** 0:1 როდალიეგა (31), 0:2 დაფი (68), 1:2 კონე (90+1)

**გაფრთხილება:** ბეირდი - ჰიუზი, სიდუელი

**კარში დარტყმა:** 17-10 (7-7) **კუთხური:** 8-7 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 9-13 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 19 284

### ლივერპული-მანჩესტერ იუნ. 1:2

**ლივერპული** (4-3-3): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი (80. კარაგერი), შკრტელი, კელი – შელვი, ჯერარდი, ალენი – ბორინი (46. სუსო), სუარესი, სტერლინგი (66. ჰენდერსონი)

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-1-1): ლინდეგორი – ევრა, ევანსი, რ. ფერდინანდი, რაფაელი (89. უელბეკი) – კერიკი, გიგზი, ვალენსია, ნანი (46. სქოულზი) – კაგავა (82. ერნანდესი) – ვან პერსი

**გოლები:** 1:0 სქოულზი (46), 1:1 რაფაელი (51), 1:2 ვან პერსი (81-პენ)

**გაფრთხილება:** რეინა – სქოულზი, ვან პერსი

**გაძევება:** შელვი (38)

**კარში დარტყმა:** 11-7 (6-3) **კუთხური:** 7-3 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 10-7 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 44 263

### ნიუკასლი-ნორვიჩი 1:0

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი – სანტონი, ტეილორი, უილიამსონი, პერჩი – ხონასი, კაბაი, ანიტა (75. ტიოტე), ბენ არფა (84. შ. ამეობი) – სისე (69. ობერტანი), ბა

**ნორვიჩი** (4-5-1): რადი – მარტინი, ბარნეტი, ბასონგი (8. ტერნერი), გარიდო – სნოდგრასი, ჰოუსონი, ჯონსონი, სერმენი (84. ჯექსონი), ჰულაჰანი – მორისონი (70. ჰოლტი)

**გოლები:** 1:0 ბა (19)

**გაფრთხილება:** ტიოტე - ჰოუსონი

**კარში დარტყმა:** 14-6 (5-2) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 12-17 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 49 402

### მანჩესტერ სიტი-არსენალი 1:1

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – კლიში, კომპანი, ლესკოტი, საბალეტა – ტურე, ხ. გარსია – სინკლერი (46. როდველი), აგუერო (85. ბალოტელი), დ. სილვა – ჯეკო (68. ტევესი)

**არსენალი** (4-5-1): მანონე – ჯენკინსონი, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი – დიაბი (71. ჟირუ), არტეტა – ჟერვინიო (90. კოკლენი), კასორლა, რემსი – პოდოლსკი (72. უოლკოტი)

**გოლები:** 1:0 ლესკოტი (40), 1:1 კოშელნი (82)

**გაფრთხილება:** ხ. გარსია -

**კარში დარტყმა:** 11-12 (5-6) **კუთხური:** 9-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 11-8 **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 47 726

### ტოტენჰემი-ქუინზ პარკი 2:1

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ფრიდელი – ბეილი, ვერტონგენი, გალასი, უოლკერი – სანდრო, დემბელე – სიგურდსონი (46. უოლკერი), დემპსი (88. ჰადლსტოუნი), ლენონი (ტაუსენდი 90+3) - დეფო

**ქუინზ პარკი** (4-4-2): ჟულიო სეზარი – ონუოჰა, ნელსენი, ჰილი, ბოსინგვა (3. დაიერი) – რაიტ-ფილიპსი (77. მაკი), გრანერო, ფორლინი, პარკი – ჰოილეტი, ზამორა (73. ჯ. სისე)

**გოლები:** 0:1 ზამორა (33), 1:1 ფორლინი (60-ს.კ-ში), 2:1 დეფო (61)

**გაფრთხილება:** - გრანერო

**კარში დარტყმა:** 11-7 (7-4) **კუთხური:** 10-9 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 36 052

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. იუნაიტედი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| 3. ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5. არსენალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-2 | 9 |
| 6. ფულჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-7 | 9 |
| 7. სიტი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-7 | 9 |
| 8. ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 9. ვესტ ჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 10. ნიუკასლი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 11. სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| 12. სანდერლენდი | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| 13. სტოკ სიტი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 14. ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 15. უიგანი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 16. საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 9-15 | 3 |
| 17. ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-8 | 3 |
| 18. ლივერპული | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 19. ქუინზ პარკი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-11 | 2 |
| 20. რედინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი); 4 - მიგელ მიჩუ (სუონსი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), დემბა ბა (ნიუკასლი), სტივენ ფლეტჩერი (სანდერლენდი), რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი);

### ჩემპიონშიპი. VII ტური

**ბლექბერნი-მიდლსბრო 1:2**
**გოლები:** 0:1 იუტკევიჩი (7), 0:2 იუტკევიჩი (61), 1:2 ჰენლი (89)

**კრისტალ პალასი-კარდიფი 3:2**
**გოლები:** 0:1 გუნარსონი (13), 0:2 დოუი (15), 1:2 მარი (52-პენ), 2:2 მარი (62), 3:2 მარი (72-პენ)

**დერბი-ბარნლი 1:2**
**გოლები:** 0:1 ვორდი (20), 1:1 ოსტინი (32), 1:2 ოსტინი (89)

**იპსვიჩი-ჩარლტონი 1:2**
**გოლები:** 0:1 ჯექსონი (48), 0:2 ფულერი (50), 1:2 სკოტლენდი (57)

**ლიდსი-ნოტინგემი 2:1**
მატჩი კარგად დაიწყო ჰაკეტმა, მეტად სახიფათო იყო სანიკიძე, რომლის ორქულიანის შემდეგ სიენელები ყველაზე დიდი სხვაობით დაწინაურდნენ (+11). მეორე პერიოდიდან სიტუაცია შეიცვალა, რაც უმთავრესად **ტაბუსა** და მარკოიშვილის დამსახურებაა. კანტუელმა ქართველმა სამქულიანით ანგარიში მალევე გაათანაბრა - 24:24.

მას მერე გუნდები ბოლო წუთებამდე ყურადღებით იცავდნენ თავს და სხვაობაც 7 ქულას არ ასცილებია. მეოთხე პერიოდში ვიქტორ სანიკიძემ ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრა (64:64), თუმცა მომდევნო 34-ე წუთზე მეორე ქართველმა მანუჩარ მარკოიშვილმა სამქულიანით ტაბლოზე მისი გუნდის სასარგებლოდ 67:64 დააფიქსირა. მას მერე სიენური კლუბი წინ აღარ გასულა. თუმცა ერთ მომენტში მოედანზე დაბრუნებულმა ვიქტორ სანიკიძემ ორქულიანით თქვა: ჯერ არაფერი დასრულებულაო და სხვაობა ორამდე შეამცირა (71:73)... მაგრამ დარჩენილ დროში საჯარიმოები უშეცდომოდ ისროლეს კანტუელებმა და სუპერთასსაც დაეუფლნენ".

**ოლრაუნდი**

### ლომი არწივებში

ინტერნეტ-გაზეთ „ოლრაუნდში" შეხვედრის რეპორტაჟს ახლავს მწვრთნელების კომენტარები და ქვეთავი სათაურით MVP. ეს ინგლისური აბრევიატურა ქართულ შიფრში „ყველაზე ღირებულ მოთამაშეს" ნიშნავს. ცხადია, ქვეთავში მარკოიშვილზეა ლაპარაკი:

*„მართალია, გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე მეტი ქულა ტიუსმა ჩააგდო, კარგადაც გაისარჯა, მაგრამ მატჩის საუკეთესო კალათბურთელად მანუჩარ მარკოიშვილი აღიარეს. სწორედ მან დაიმსახურა ეპითეტი „სუპერი", რადგან „არწივთა" („კანტუს" სიმბოლო) რიგებში ლომივით იბრძოდა პირველი წუთიდან ბოლომდე. მატჩის დასრულების შემდეგ მანუმ რიმინიში ჩასული კანტუელი გულშემატკივრის დამსახურებული ოვაცია მიიღო."*

**დეილიბასკეტი**

### სანიკიძემ ფორმა გამოიცვალა, ციფრები - არა

სხვადასხვა შეფასებებს ვხვდებით კანტუურ და სიენურ გამოცემებში. ლომბარდიულ საიტ „დეილიბასკეტზე" თითოეული კალათბურთელის შრომა ათბალიანი სისტემითაა შეფასებული. ყველაზე მაღალი, რვა ქულა მხოლოდ მანუჩარსა და ტიუსს უწერიათ:

*„მარკოიშვილი - 8. მანუს თამაშის შეფასებისას მხოლოდ 15 ქულაზე მსჯელობა არ კმარა. იგი რთულ მატჩში გუნდის ისე გაუძღვა, როგორც ნამდვილ ლიდერს შეშვენის. მარკოიშვილი „კანტუს" ქვაკუთხედი (სწორედ ასეთი სიტყვაა გამოყენებული იტალიურ საიტზე - ავტ.) იყო როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში.*

*ვიქტორ სანიკიძე - 7.5. 17 ქულა და 16 მოხსნა, სროლების 80 პროცენტზე მეტი... სადაა Air Georgia? - „ვირტუსში" აღარ თამაშობს. გაიხადა ბოლონიელთა მაისურა, ჩაიცვა უფრო ძლიერი „მონტეპასკის" ფორმა, მაგრამ სტატისტიკა ისეთივე ეფექტური დარჩა."*

გამოცემა „სიენაში" მხოლოდ „მონტეპასკის" კალათბურთელთა ნალვაწია ქულებით შეფასებული, ვიქტორს 8 ბალი უწერია.

**გაზეტა დელო სპორტი**

### მარკოიშვილი: დიდებული დღე

„გაზეტა დელო სპორტის" კორესპონდენტმა სუპერთასის დასრულების შემდეგ ოფლში გაწურულ მარკოიშვილს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა. გთავაზობთ ამონარიდს.

*- დიდებული დღეა „კანტუს" თითოეული გულშემატკივრის, მოთამაშისა და ხელმძღვანელისთვის. მძიმე თამაში იყო და სასიხარულოა, რომ სეზონი ტიტულის მოგებით გავხსენით. წინ კიდევ უფრო ძნელი გზა გველის, სათამაშო გვაქვს ევროლიგა, იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი. სუპერთასის მოგება ერთგვარი სტიმული იქნება მომავალი წარმატებებისთვის.*

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რისკზე მეტი

გუშინ 13 საათზე ამოიწურა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის წინასწარ გამოცხადებული ვადა. მოქმედი პრეზიდენტი უკონკურენციოდ დარჩა. თუნდაც კიდევ ერთი მსურველის გამოჩენა შესაძლებლობას მოგვცემდა, ხეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიის წინ კანდიდატთა შორის დისკუსია გაგვემართა „ლელოს“ ფურცლებზე.

გია ნაცვლიშვილის უკონკურენტოდ დარჩენა მოსალოდნელიც იყო და მოულოდნელიც. ვინც პასუხისმგებლობასთან მწყრალადაა, მას ყველაფერი ეადვილება, მაგრამ ბევრმა იცის, რომ სპორტულ სამყაროში ასეთ ნაბიჯზე წასვლა რისკზე მეტს ნიშნავს.

საქართველოში დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის პირველი სიტყვის დაძვრიდან ვარ ჩართული ამ მოძრაობაში და ცუდად ნამდვილად არ ვიცი, რა ღირსებებისა და თვისებების მატარებელი ადამიანი უნდა იდგეს მის სათავეში. არასდროს გაგვცრუებია იმედი. მაგრამ ის, რაც გააკეთა გია ნაცვლიშვილმა ჯერ კიდევ როგორც კანდიდატმა, სეოკ-ის პრეზიდენტად მოსვლამდე, ჩვენს რეალობაში იყო უპრეცედენტო — ოლიმპიური სპორტის სახეობის ფედერაცია არ დაუტოვებია, ღრმად არ გასცნობოდა პრობლემებს. ეს იყო მთავარი. სამაგალითო გამოდგა შინ თუ გარეთ ურთიერთობებშიც. ყველაზე დიდ ღირსებად კი საქმისადმი პროფესიული მიდგომა უნდა ჩაეთვალოს. რამდენი უნდა იმუშაო საკუთარ თავზე, რამდენი დრო უნდა დახარჯო, რომ ნაღდი პროფესიონალის სახელი დაიმკვიდრო. არ იგულისხმება მხოლოდ ორგანიზაციული საკითხები. წლევანდელ ოლიმპიადამდე და შემდეგაც დავრწმუნდი და გაოცებულიც დავრჩი, ცოტა სხვათა მაგივრად შემრცხვა კიდეც, რომ ამ კაცმა გაცილებით მეტი იცოდა თითოეული ჩვენი ოლიმპიელის სპორტულ კარიერაზე, მათს მეტოქეებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, ვიდრე ნაკრების თავკაცებმა, ზოგიერთმა, ცხადია. ვნახე მისი განცდები ლონდონშიც ოლიმპიური ბატალიების დღეებში და უშუალო შეჯიბრებებისას. სწორედ ამას ჰქვია ჭეშმარიტი პასუხისმგებლობა, რაც ეოკ-ების პრეზიდენტებს შედეგებზე პირდაპირ არანაირად არ ეკისრებათ. ყველას ვუერთდები, ვისაც სჯერა, რომ მომავალ ოლიმპიურ ციკლში გია ნაცვლიშვილზე უკეთ ნამდვილად ვერავინ გაუძღვებოდა ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას და მის რჩეულ „სპას“ რიოს ოლიმპიური თამაშებისკენ მიმავალ გზაზე. რაღა დაგვრჩა სათქმელი — 3 ოქტომბრის მოლოდინი, ღია კენჭისყრა და, რაღა თქმა უნდა, მილოცვა!

● რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონმა ლიდერს პირველი მოუგო

**არმია–ლელო 30:23**

არმია (15-9) კობახიძე, ზაზახიძე, ჯიმშელაძე, ჩხიკვაძე, ნუცუბიძე (გოგოლაშვილი 41), ნინიძე, სამხარაძე. (1-8) კაკოვინი, მეკოკიშვილი (მამუკაშვილი 60), გურგენიძე (ხოსიტაშვილი 60), ბინაძე, ჩიტიძე (აზალაძე 64), თხილაიშვილი, თავართქილაძე (ი. სურგულაძე 32), ბუჯიაშვილი.

3ლ: ჩხიკვაძე, კაკოვინი, კობახიძე. 3გ,3ს: კობახიძე.

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ანდღულაძე, კოპაძე, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (ხიდეშელი 53), ბელქანია (კვერნაძე 68), სუჯაშვილი (ბარბაქაძე 71), ნიკოლაიშვილი (კოლელიშვილი 68), ქოიავა, დარასელია, ე. სურგულაძე, ჭყოიძე.

2ლ: ბელქანია, გუგავა. 3ს,2გ: ყიასაშვილი

მსაჯი: თენგიზ ჩორგოლეიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა თბილისის „ლელომ“ მეოთხე ტურში პირველი მარცხი განიცადა. ავჭალის პირთამდე შევსებულ სარაგბო სტადიონზე ლელოელებმა ქვეყნის ჩემპიონთან და თასის მფლობელ „არმიასთან“ წააგეს - 23:30.

მატჩმა, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია და უნდა ითქვას, რომ ქომაგთა მოლოდინი გაამართლა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს შეხვედრა მიმდინარე სეზონში საუკეთესო იყო. ორივე გუნდი მწყობრი, გააზრებული კომბინაციებით ცდილობდა საწადელის მიღწევას, თუმცა შეცდომებიც უხვად ჰქონდათ.

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩში, უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე, საბოლოოდ მაინც „არმიამ“ იმძლავრა.

საწყის 25 წუთში მეტოქის შეცდომებით "არმიამ" უფრო იხეირა და 10 ქულით დაწინაურდა - 13:3. ანგარიში კი ლელოელებმა მე-9 წუთზე გახსნეს. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმო გაიტანა, რასაც უმალვე „არმიას“ საპასუხო იერიში მოჰყვა. შეტევა მოედნის საკუთარი ნახევრიდან **ხვიჩა ბუჯიაშვილმა** წამოიწყო და მარცხენა ფრთიდან სცადა მეტოქის ხაზის გაჭრა. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარჯვნივ გრძელ ფრთაზე გამოათამაშეს, ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** ფეხით ლელოსკენ შეაცურა. ყველაზე უმალ ბურთთან „არმიას“ შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძე** გაჩნდა, რომელმაც კარგად ისარგებლა ლელოელთა დაბნეულობით და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 10:3.

„არმია“ გააქტიურდა. შერკინებას სტატიკურ მდგომარეობაში თამაში ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ამას დინამიკაში უკეთესი გარჯით ინაზღაურებდა. მე-19 და 25-ე წუთზე კობახიძემ ორი საჯარიმო გაიტანა - 13:3. „ლელო“ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ გუნდი უფრო მობილიზებული გახდა და ტაიმის ბოლომდე სათამაშო უპირატესობას დაეუფლა, რაც ანგარიშშიც აისახა.

35-ე წუთზე „ლელომ“ მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში დერეფანი მოიგო და მოლი შეკრა. მძლავრი მიწოლით ათიოდ მეტრი გაიარა, თამაში რაკში გადავიდა. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი მარცხნივ გამოათამაშეს. ისევ რაკი და **გიორგი კაჭარავასგან რეზო ბელქანიამ** ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. ყიასაშვილმა გარდასახა - 10:13.

ორ წუთში არმიელმა კობახიძემ სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთი დაკარგა, რომელიც „ლელოს“ გარემარბმა **ლექსო გუგავამ** აიტაცა და ორმოცი მეტრი ისე ირბინა, წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 17:13. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ ტაიმის საწყისი წუთები ისევ „ლელოსი“ იყო. 52-ე წუთზე ყიასაშვილმა 48 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა და ანგარიში სხვაობა შვიდამდე გაზარდა - 20:13. თუმცა, ნელ-ნელა, ლელოელებს დაღლა დაეტყოთ და უპირატესობას არმიელები ეუფლებოდნენ. შერკინების თამაში კი „არმიამ“ დროული ცვლილებებით გამოასწორა. მოედანზე პირველხაზელების ბექა **მეკოკიშვილისა** და **დავით გურგენიძის** ნაცვლად, **შალვა მამუკაშვილი** და **გიორგი ხოსიტაშვილი** შევიდნენ. „ლელოს“ უპირატესობა შერკინებაში მყისვე გაქრა.




ბურთით ბახვა კობახიძე

„არმიას“ ფულბეკმა კობახიძემ 63-ე წუთზე საჯარიმო გაიტანა, თუმცა ზუსტად ერთ წუთში ყიასაშვილისგან იგივე პასუხი მიიღო - 23:16. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ „ლელომ“ მონაგარს ველარაფერი შესძინა. გადამწყვეტი კი, ყიასაშვილის მიერ გაცუდებული საჯარიმო გამოდგა, როცა ანგარიში საყაიმო 23:23 იყო. არადა შეიძლებოდა, მოვლენები სხვა სცენარით განვითარებულიყო.

მატჩის დასკვნით 15 წუთში „არმია“ მთლიანად აკონტროლებდა თამაშს. 68-ე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა — არმიელებმა აუტი ლელოელთა ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში მოიგეს და მოლით რამდენიმე მეტრი გაიარეს. მერე ბურთი ცხრა ნომერმა ბიძინა სამხარაძემ მარჯვენა გრძელ ფრთაზე გაიტანა,სადაც უკვე უკანახაზელები ამოქმედდნენ. მათი შეჩერება „ლელომ“ მოახერხა. წარმოქმნილი რაკიდან „არმიას“ მორკინალები მოკლე დარტყმებით ჩათვლის მოედანს მიუახლოვდნენ. ბოლოს ბურთი შერკინების ბურჯმა გოგა კაკოვინმა აიტაცა და ლელოში შეაღწია. კობახიძემ გარდასახა - 23:23.

თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე „არმიამ“ გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო მიითვალა. შეტევა არმიელებმა მოედნის საკუთარი ნახევრიდან ხელდახელ ბურთაობით დაიწყეს და იერიშის ხშირი მიმართულების ცვლით მეტოქის დაცვა იმდენად განელეს, რომ მარჯვენა ფრთაზე შეტევაში ჩართული ფულბეკი ბახვა კობახიძე უმეთვალყუროდ დარჩა. თანაგუნდელებმა ის დროულად შენიშნეს და ლელო ალამთან ახლოს გაიტანა. გარდასახვაც თვითონ დაარტყა - 30:23.

„ლელომ“, როგორც უკვე ვთქვით, პირველი მარცხი განიცადა, თუმცა რადგან შვიდი ქულით წააგო, ერთი პრემიალური ქულა ერგო, რამაც საშუალება მისცა სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი შეენარჩუნებინა. ლელოელებს ჯერაც დაუმარცხებელ „არმაზთან“ ერთად 16-16 ქულა დაუგროვდათ. არმაზელებმა სტუმრად შეძლეს „ბათუმის“ ძლევა - 18:13.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ყოჩები ისევ აგებს, ხარები გადარჩა

**ყოჩები–ხარები 24:27**

ყოჩები (15-9) კვარაცხელია, მახარაშვილი (გარუჩავა 46), კობაური, ქუშაშვილი, აბრამალაძე, გაბუნია, ჯაფარიძე (სიორიძე 74) (1-8) ესაკია, ცუცქირიძე, შენგელია (ჯინჭარაძე 58), ბელაშვილი, ტვილდიანი, აფციაური (ხარშილაძე 59), ცაგარეიშვილი, მალაღურაძე.

2ლ: სიორიძე, აფციაური. 4ს,გ: გაბუნია.

ხარები (15-9) ნიკლაური, მელიქიშვილი, მაღლაკელიძე, ლამბაშიძე, ბებიაშვილი (მურადაშვილი 49, ჭაავა, ხუციშვილი. (1-8) მაჭარაშვილი (გაბრიჭიძე 63), კაკაბაძე, ალაშვილი, ხელია, ქარუხნიშვილი, ქვლივიძე, გოგიაშვილი, მარტიშვილი (ტყეშელაშვილი 57).

3ლ: ალაშვილი, ბებიაშვილი, ჭაავა. 3გ,2ს: ნიკლაური.

სინბინი: გოგიაშვილი

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

აუტსაიდერების მატჩი ლიდერების დაპირისპირებაზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა. რუსთავის „ხარებმა“, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა, თბილისში „ყოჩებს“ აჯობა - 27:24.

თბილისურმა გუნდმა გამარჯვების გემო ჯერ არ იცის. ახალგაზრდულმა და გამოუცდელმა „ყოჩებმა“ ამჯერადაც არასტაბილური თამაშის გამო წააგეს. პირველ ტაიმში მათგან შთამბეჭდავს ვერაფერს გავიხსენებთ. „ხარები“ კი თამაშიდან-თამაშამდე მძლავრდებიან, თუმცა ხარვეზი მასაც ბევრი აქვს. მაგალითისთვის, თუნდაც, თითქმის მთლიანად ჩაგდებული მეორე ტაიმიც გამოდგება.

საწყის ხუთ წუთში სტუმრებმა ორი საჯარიმო გაიტანეს, რაზეც „ხარების“ ფულბეკს **მიხეილ ნიკლაურს** მე-7 წუთზე „ყოჩების“ მგეზავმა **გიგი გაბუნიამ** ერთი საჯარიმოთი უპასუხა - 3:6. ამის შემდეგ 30-ე წუთამდე რაიმე აღნიშვნის ღირსი მოედანზე არაფერი მომხდარა.

პირველი ნახევრის ბოლო ათ წუთში „ხარები“ საგრძნობლად გააქტიურდნენ და ორი ლელოს გატანა მოახერხეს, რამაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის საბოლოო შედეგი მნიშვნელოვნად განსაზღვრა. 31-ე წუთზე რუსთაველებმა მეტოქის 22-მეტრიან ზონაში ბურთი ფეხით შეაცურეს. „ყოჩებმა“ მისი გაკონტროლება ვერ შეძლეს. ბურთს სტუმართა მესამეხაზელი **ლაშა გოგიაშვილი** დაეუფლა, რომელიც ლელოს მისადგომებთან შებოჭეს, თუმცა მოასწრო და იქვე მიმყოლ პირველხაზელს **უჩა ალაშვილს** გადააწოდა, რომელსაც ჩათვლის მოედანში შეღწევა არ გასჭირვებია. ნიკლაურმა გარდასახა - 13:3.

„ყოჩებმა“ ამაზე სამ წუთში გაბუნიას საჯარიმოთი გასცეს პასუხი - 6:13. თუმცა ტაიმის მიწურულს „ხარებმა“ კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. მარცხენა ფრთაზე მეტოქეს ხაზი რუსთაველთა უკანახაზელებმა გაჭრეს, წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **ვაჟა ხუციშვილმა** ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა, ისევ რაკი და ვაჟამ შეტევის მიმართულება არ შეცვალა. ბურთი შუამარბ **გიორგი ბებიაშვილს** მიუვიდა, რომელიც ორ მოწინააღმდეგეს ხელიდან გაუსხლტა და ლელოში შეაღწია. ნიკლაურმა ესეც გარდასახა - 20:6.

შესვენების შემდეგ, სამ წუთში „ყოჩების“ მგეზავმა გიგი გაბუნიამ საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა 11 ქულამდე შეამცირა. თბილისელი მორაგბეები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მათი შეტევები უფრო მწვავე გახდა, თუმცა 47-ე წუთზე საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. მორიგი იერიშისას გაბუნიას გადაცემა გარემარბმა **ლექსო მელიქიშვილმა** საკუთარი 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან ჩაჭრა და მოწინააღმდეგის ლელოსკენ დაიძრა, ის ზედ ჩათვლის მოედნის ხაზთან შეაჩერეს, მაგრამ მოახერხა და იქვე მიმყოლ მგეზავს **მანუჩარ ჭაავას** გადააწოდა. მის მიერ გატანილი ლელო ნიკლაურმა გარდასახა და „ხარები“ 18 ქულით დააწინაურა - 27:9.

თამაშის დასრულებამდე 33 წუთი რჩებოდა. „ყოჩებმა“ კიდევ ერთხელ გამოავლინეს მათთვის დამახასიათებელი უდრეკი სული, მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, მაგრამ მატჩის გადარჩენა ველარ მოახერხეს - 24:27.




ბურთით ჯაბა მალაღურაძე

**IV ტური**

| | |
|---|---|
| აკადემია-ილიაუნი ჯიქი | 9:39 |
| ბათუმი-არმაზი | 13:18 |
| აია-ლოკომოტივი | 23:23 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +70 | 16 |
| 2. არმაზი | 4 | 4 | 0 | 0 | +40 | 16 |
| 3. არმია | 4 | 3 | 0 | 1 | +28 | 14 |
| 4. ჯიქები | 4 | 3 | 0 | 1 | +27 | 13 |
| 5. აია | 4 | 2 | 1 | 1 | +5 | 11 |
| 6. ხარები | 4 | 2 | 0 | 2 | -11 | 9 |
| 7. ლოკომოტივი | 4 | 1 | 1 | 2 | +7 | 8 |
| 8. ბათუმი | 4 | 1 | 0 | 3 | -39 | 5 |
| 9. ყოჩები | 4 | 0 | 0 | 4 | -48 | 2 |
| 10. აკადემია | 4 | 0 | 0 | 4 | -79 | 1 |

**V ტური**

ლოკომოტივი-ილიაუნი ჯიქი, ლელო-აია, არმაზი-არმია, ხარები-ბათუმი, ყოჩები-აკადემია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# უცხოური სპორტი

## ამბები

**ველოსპორტი**

### გულწასული ვალვერდე

ცნობილმა ესპანელმა ველომრბოლმა **ალეხანდრო ვალვერდემ** მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ რბოლამდე ერთი დღით ადრე გონება დაკარგა. ვალვერდე მომავალი რბოლის ერთ-ერთი ფავორიტი გახლავთ.

ალეხანდრომ გონება სასტუმროში, ლიფტის ლოდინის დროს დაკარგა. თუმცა ესპანეთის ნაკრების სამედიცინო სამსახურმა დაადასტურა, რომ სერიოზული არაფერი მომხდარა, ველომრბოლი თავს ნორმალურად გრძნობს და ინციდენტი გავლენას არ იქონიებს ჯგუფურ რბოლაში ვალვერდეს მზადების პროცესზე.

### საერთაშორისო კავშირმა არმსტრონგის მასალები მოითხოვა

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელმა **პეტ მაკუეიდმა** განაცხადა, რომ არ იცის, როდის მიიღებს ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოსგან იმ დოკუმენტთა სრულ პაკეტს, რომელიც ამტკიცებს **ლენს არმსტრონგის** მიერ დოპინგის მიღებას. შეგახსენებთ, რომ სააგენტომ ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული ჩამოართვა ლენსს და მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

*„ჩვენი ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ ამერიკულ მხარეს დოკუმენტების სრული პაკეტი აქვს, რომლის მიხედვითაც მიიღო ცნობილი გადაწყვეტილება. ამიტომაც გაუგებარია, დღემდე რატომ არ წარმოგვიდგინეს მტკიცებულებები"*, - ამბობს მაკუეიდი.

**ფრენბურთი**

### ფრენბურთის ახალი მესაჭე ბრაზილიელია

ბრაზილიელი **არი გრასა** ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გახდა.

არჩევნები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ანაჰაიმში, ორგანიზაციის 33-ე კონგრესზე ჩატარდა. პრეზიდენტობაზე სამი კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას: ამერიკელი **დუგლას ბილი,** ბრაზილიელი არი გრასა და ავსტრალიელი **კრისტოფერ შახტი**. ყველაზე მეტი ხმა ბრაზილიელმა ფუნქციონერმა მიიღო,

აქამდე, 69 წლის გრასა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, პარალელურად, ბრაზილიისა და სამხრეთი ამერიკის ფრენბურთის კონფედერაციებსაც ხელმძღვანელობდა. გრასა საერთშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იქნება უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში.

**კრივი**

### პაკიაო ნაკლებ წილზეც თანახმაა

ტელეარხ ESPN-ისთვის მიცემულ ინტერიუში მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ, 33 წლის ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** განაცხადა, რომ მზად არის ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან** შესახვედრად საერთო შემოსავლის 45-პროცენტიან წილს დათანხმდეს და მეტოქეს 55 პროცენტი დაუთმოს.

გარდა ამისა, პაკიაომ განაცხადა, რომ თანხმაა დოპინგტესტის გავლაზე, როგორც ეს ამერიკელის წინა მეტოქეებმა - **შეინ მოსლიმ, ვიქტორ ორტისმა და მიგელ კოტომ** გააკეთეს.

მეივეზერის გუნდმა მაშინვე უპასუხა ფილიპინელის ინიციატივებს. მეივეზერის მრჩეველმა **ლეონარდ ელერბემ** შემდეგი განაცხადა: *„პაკიაოს უფლება არ აქვს ფლოიდ მეივეზერს რაიმე უთხრას. თუ ბრძოლა ჩატარდება, პირობებს მას ფლოიდი უკარნახებს".*

**კალათბურთი**

### საჩუქარი ევროლიგის ფანებს

ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, წლევანდელ სეზონში გულშემატკივრებს 55 ევროდ ექნებათ ყველა მატჩის ხილვის საშუალება. პირველად ამ ტურნირის ისტორიაში, მაყურებლები ტელევიზიით აბსოლუტურად ყველა შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას ნახავენ. ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ჩვენების ხარისხი და დონე თანდათან უახლოვდება NBA-ის სტანდარტებს.

### კოლე საფრანგეთში რჩება

საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ **ვენსან კოლე** გააგრძელებს მუშაობას ქვეყნის პირველი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და გუნდს 2013 წლის ევრობასკეტზე უხელმძღვანელებს.

კოლე საფრანგეთს 2009 წლიდან უდგას სათავეში. ამ სპეციალისტის ყველაზე დიდი წარმატებაა 2011 წელს, ლიტვის ევრობასკეტზე მოპოვებული ვერცხლის მედალი. შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე საფრანგეთის ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

### ქალების ევრობასკეტი დაჯგუფდა

გუშინ პარიზში გაიმართა ქალებს შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. ტურნირი 2013 წლის 15-30 ივნისს, საფრანგეთში გაიმართება.

ჩემპიონატის 16 მონაწილე ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდება:

A **ჯგუფი:** თურქეთი, სლოვაკეთი, ჩერნოგორია, უკრაინა;
B **ჯგუფი:** რუსეთი, იტალია, შვედეთი, ესპანეთი;
C **ჯგუფი:** საფრანგეთი, ბრიტანეთი, სერბეთი, ლატვია;
D **ჯგუფი:** ჩეხეთი, ხორვატია, ლიტვა, ბელარუსი.

შეგახსენებთ, რომ ქალებს შორის ევროპის მოქმედი ჩემპიონია რუსეთის ნაკრები.

**ფორმულა 1**

### სინგაპური დიდ ცირკში რჩება

სინგაპურის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მიაღწია შეთანხმებას ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან ახალ კონტრაქტზე, - წერს სააგენტო „როიტერი". ხელშეკრულების თანახმად, სინგაპურის გრანპრი „სამეფო რბოლების" კალენდარში 2017 წლამდე დარჩება.

ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსწონს სინგაპურში ჩასვლა და იქაური ღამის რბოლა დიდი პოპულარობით სარგებლობს.

### კუბიცას პირელი შეიკედლებს

კომპანია „პირელის" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელმა **პოლ ჰემბრიმ** განაცხადა, რომ მომავალ წელს, პოლონელი **რობერტ კუბიცა**, შესაძლოა, კომპანიის ტესტ-პილოტი გახდეს. შეგახსენებთ, რომ „პირელი" ფორმულა 1-ის გუნდებს საბურავებით ამარაგებს.

ჰემბრის სიტყვებით, მას ჯერ არ ულაპარაკია პოლონელ პილოტთან ასეთ შესაძლებლობაზე, მაგრამ თუ ფიზიკური ფორმა კუბიცას ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან დაბრუნების საშუალებას მისცემს, ის შეიძლება გახდეს „პირელის" ტესტ-პილოტი, რაც მას შემდგომში ფორმულა 1-ში დაბრუნებაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ პოლონელი მძიმე ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის. ცოტა ხნის წინ, მან სამოყვარულო რალიში მიიღო მონაწილეობა და პირველ ადგილზე გავიდა.

## ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ტაივანელის მეორე აზიური ტრიუმფი

გასულ კვირას, ქალთა პროფესიული ტურის აზიური ტურნე სეულსა და გუანგჯოუში გაგრძელდა. ჩინურ ტურნირს დიდი ისტორია არ აქვს - ის 2004 წლიდან იღებს სათავეს და მაშინ პირველი ჩემპიონი **ნა ლი** გახდა. უკვე დიდი ხანია, ამ ტურნირზე ვარსკვლავები აღარ ჩადიან, ამიტომაც წელს, გუანგჯოუში ფრანგი **მარიონ ბარტოლის** სტუმრობა დიდი მოვლენა გახდა. თუმცა მარიონი ჩინეთში დიდი ხანი არ დარჩენილა. მან მხოლოდ შვიდი გეიმი ითამაშა **კაი-ჩენ ჩანთან** მატჩში და ავადმყოფობის გამო შეწყვიტა ბრძოლა.



ლორა რობსონი

ტურნირის მსვლელობისას ყველაზე კარგი ფორმის დემონსტრირებას ტაივანელი **სუ-ვეი ჰსიე** ახდენდა. მან წელს კარიერაში პირველი ტიტული მოიგო - კუალა ლუმპურის ტურნირზე გაიმარჯვა. მას შემდეგ, ტაივანელს სერიოზული წარმატებები არ ჰქონია, მაგრამ გუანგჯოუში შესანიშნავად გამოიყურებოდა. ის ნახევარფინალამდე ყველა მეტოქეს ორ სეტში უსწორდებოდა, მაგრამ ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა პოლონელი **ურსულა რადვანსკასგან**. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მეორედ გავიდა ნახევარფინალში. მსოფლიოს მესამე ჩოგანის **აგნიეშკა რადვანსკას** უმცროსი და სწრაფად პროგრესირებს და ცოტა ხნის წინ, TOP40-ში შევიდა. თუ ის ასეთი ტემპით გააგრძელებს, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე, შესაძლოა, ორივე დამ მიიღოს განთესვის ნომერი. ჰსიესა და ურსულას ნახევარფინალში ორივე ჩოგბურთელს აკლდა სტაბილურობა. პირველი სეტი ტაივანელმა დამაჯერებლად აიღო, მეორეში გაცილებით ძლიერი იყო ურსულა, მაგრამ მან ჩააგდო მატჩის დასკვნილი ნაწილი და გადამწყვეტი სეტი ნულზე წააგო.

ბადის ქვედა ნაწილის გმირი აღმოჩნდა ბრიტანელი **ლორა რობსონი**. უმცროსი რადვანსკასი არ იყოს, მისი პროგრესიც აშკარაა, რაც ამერიკის ღია პირველობაზე გამოჩნდა, როცა ტურნირის მეორე კვირამდე მიაღწია, თან გზად ნა ლი და **კიმ კლაისტერსი** დაამარცხა.

გუანგჯოუში ბრიტანელს ორი ადგილობრივი ჩოგბურთელის - **ჟიე ჟენგისა** და **შუაი პენგის** დამარცხებამ მოუწია, ნახევარფინალში კი ორ სეტში წააგო მესამე ნომრად განთესილ რუმინელ **სორანა კირსტეასთან**. ამით ლორა გახდა პირველი ბრიტანელი, ვინც ბოლო 22 წლის განმავლობაში WTA-ის ტურნირის ფინალში გავიდა.

ფინალი ხანგრძლივი და დაძაბული გამოვიდა. რობსონმა პირველი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ უფრო გამოცდილმა ჰსიემ სწრაფად დაიბრუნა მოწოდება და მაშინვე წინ გავიდა. ტაივანელმა აიღო პირველი სეტი და მეორეშიც წინ იყო. თითქოს ფინალი მალე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ლორამ ბრძოლის ჟინი გამოავლინა. სხვათა შორის, ასე მოხდა ამერიკის ლიაზე, სადაც მერვედფინალში რვა მატჩბოლის მოგერიება შეძლო. ამჯერად, მან ხუთი მატჩბოლი გადაარჩინა, ამაზე არ გაჩერდა და მეორე პარტია მოიგო. გადამწყვეტ სეტში თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ რობსონი დაიღალა. მას უკვე ველარ შველოდა მოწოდება (მატჩში ცხრა ეისი გააკეთა) და ორ საათსა და 48 წუთში, კარიერაში თავისი პირველი ფინალი წააგო.

**Guangzhou Open**

გუანგჯოუ (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**სუ-ვეი ჰსიე (ტაივ)**-ლორა რობსონი (ბრიტ) 6:3, 5:7, 6:4.

# ვოზნიაცკიმ გაიღვიძა

თუ გუანგჯოუში შაბათს ჩატარდა ფინალი, სეულში ქალებმა გუშინ გაითამაშეს მთავარი პრიზი. ჩინური ტურნირისგან განსხვავებით, კორეაში უფრო ხშირად ჩადიან ვარსკვლავები - აქ იმარჯვებდნენ ისეთი ჩოგბურთელები, როგორებიც არიან **მარია შარაპოვა** (2004) და **ვენუს უილიამსი** (2007), აქვე ფინალში უთამაშია **სამანტა სტოსურს** (2008). წელს პირველ ნომრად დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** იყო განთესილი, რომელიც რეიტინგში მე-11 ადგილს იკავებს.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი პირველ სამ მატჩში მეტოქეებს ხუთზე მეტ გეიმს არ აძლევდა. ასე გავიდა დანიელი ნახევარფინალში, სადაც მას რუსი **ეკატერინა მაკაროვა** ელოდა.

პირველ სეტში რუსი ძალიან ბევრს ცდებოდა და ნახევარ საათზე ნაკლებ დროში დათმო პარტია. მეორეში მაკაროვა ორჯერ გავიდა წინ ბრეიკით, მაგრამ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას აძლევდა. საბოლოოდ, კაროლინმა მატჩზე ჩაწოდების საშუალება მიიღო და 30:0 დაწინაურდა, მაგრამ მაკაროვა, მოულოდნელად, ბრწყინვალედ ათამაშდა და ზედიზედ სამი გეიმი აიღო, მათ შორის ორი - მეტოქის მოწოდებაზე.

გადამწყვეტ პარტიაში ვოზნიაცკის აღარ მიუცია მეტოქისთვის ინიციატივა. მართალია, კარგა ხანი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ ბოლოსკენ დანიელმა უფრო მეტი ძალა შემოინახა და უშეცდომოდ ითამაშა - 6:1, 5:7, 6:4.



კაროლინ ვოზნიაცკი

მეორე ნახევარფინალში ხვდებოდნენ **კაია კანეპი** და **ვარვარა ლეპჩენკო**. ამერიკელი კარიერაში საუკეთესო სეზონს თამაშობს და დღეიდან ის რეიტინგის ტოპ-ოცეულის წევრია. კანეპი უფრო მაღლაა კლასიფიკაციაში, მაგრამ წელს ჩავარდნები აქვს - მან ორი ტიტული მოიგო და როლან გაროსის მეოთხედფინალში ითამაშა, მაგრამ სამჯერ მიიღო ტრავმა. საერთო ჯამში, ესტონელი წელს 14-ჯერ (!) მოიხსნა ტურნირებიდან, მათ შორის, უიმბლდონიდან, ოლიმპიადიდან და აშშ-ის ღია პირველობიდან. ნახევარფინალში ლეპჩენკომ ბრძოლა მოახვია თავს მეტოქეს და მეორე სეტიც მოიგო, მაგრამ მომდევნო ორი პარტია კანეპის დარჩა.

ფინალში საინტერესო ბრძოლას ელოდნენ, რადგან კანეპის ბოლო ორ სეზონში ორჯერ ჰყავდა დამარცხებული დანიელი, მაგრამ მატჩმა არ გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. თუ პირველ სეტში ესტონელი ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს, მეორეში ესტონელი მთლად უშანსოდ იყო. საბოლოოდ, ფინალი მხოლოდ 62 წუთი გაგრძელდა - 6:1, 6:0.

კაროლინ ვოზნიაცკიმ ბოლო 13 თვის განმავლობაში პირველი ტიტული მოიგო, სულ კი კარიერაში 22-ე გამარჯვებას მიაღწია.

ახლა, ქალ ჩოგბურთელებს წინ აქვთ „პრემიერ" კატეგორიის ტურნირი ტოკიოში, სადაც ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ჩავიდა სათამაშოდ **სერენა უილიამსის** გარდა.

**Korea Open**

სეული (კორეა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 500 000 დოლარი

**ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-კაია კანეპი (ესტ, 3) 6:1, 6:0.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ფორმულა 1. სინგაპურის გრანპრი

# ჰემილტონის ტექნიკური ნაგება

**ლუის ჰემილტონის „მაკლარენზე“ გადაცემათა კოლოფის მწყობრიდან გამოსვლამ სებასტიან ფეტელს ზედიზედ მეორედ მოაგებინა სინგაპურის გრანპრი. ამით, გერმანელი საერთო ჩათვლის ლიდერის ფერნანდო ალონსოს უახლოესი მდევარი გახდა.**

სინგაპურის გრანპრიზე პოული დამაჯერებლად მოიპოვა **ლუის ჰემილტონმა** - მეხუთედ სეზონში და ზედიზედ მეოთხედ „მაკლარენისთვის“. სიურპრიზი შემოგვთავაზა **პასტორ მალდონადომ** და მეორე ადგილი დაიკავა, მეორე რიგიდან აიღეს სტარტი **სებასტიან ფეტელმა** და **ჯენსონ ბატონმა**, ჩემპიონატის ლიდერი **ფერნანდო ალონსო** მეხუთე იყო.

გუშინ, ჰემილტონმა უპრობლემოდ შეინარჩუნა ლიდერობა, იმ დროს, როცა მეორე ადგილზე გადავიდა ფეტელი. ასევე ერთი პოზიცია მოიგო ბატონმა, მალდონადო კი მეორედან მეოთხეზე ჩამოქვეითდა. მეორე ხუთეულში თითქმის ყველაფერი უცვლელი იყო - მხოლოდ **ნიკო როსბერგმა** გაუსწრო **მიხაელ შუმახერს.**

პირველი ცხრა წრის განმავლობაში ჰემილტონი ნელ-ნელა შორდებოდა ფეტელს, ლიდერთა ჯგუფი გაიწელა, ხოლო შუმახერმა უკან მჭიდრო ჯგუფი შეკრიბა **რაიკონენის, ჰიულკენბერგისა** და **პერესის** შემადგენლობით. ასე გაიარა რბოლის პირველმა მონაკვეთმა - უკვე მეცხრე წრეზე პიტ-სტოპზე გაემურა **მარკ უებერი.**

მას ბოქსებში მიყვნენ ფეტელი, ალონსო და შუმახერი. მოგვიანებით, საბურავები შეცვალეს ჰემილტონმა, როსბერგმა და რაიკონენმა. ლიდერთაგან ყველაზე ბოლოს პიტ-სტოპი შეასრულეს ბატონმა და **გროსჟანმა.**

ბოქსებში პირველ გაჩერებას არ შეუცვლია ძალთა თანაფარდობა პირველ ათეულში - ერთადერთი ცვლილება ის იყო, რომ როსბერგმა გროსჟანს გაუსწრო.

23-ე წრეზე „მეხი გავარდა“ - ერთ-ერთი მოსახვევიდან გამოსვლისას, ლიდერმა ჰემილტონმა მკვეთრად დაკარგა სიჩქარე. „მაკლარენის“ ბოლიდზე გადაცემათა კოლოფი გამოვიდა მწყობრიდან. პელოტონს სათავეში ჩაუდგა სებასტიან ფეტელი.

33-ე წრეზე **ნარაიან კართიკეიანი** ძალიან ფართოდ შევიდა მე-18 მოსახვევში და მანქანა დაამტვრია. ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა და ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მოგების შანსი **პედრო დე ლა როსასაც** კი გაუჩნდა.

პეისკარის დროს, ბოქსებში სინქრონულად შეუხვიეს ფეტელმა, ბატონმა, **დი რესტამ**, როსბერგმა და სხვებმა. ალონსომ და უებერმა ეს არ გააკეთეს, რადგან უკვე შესრულებული ჰქონდათ მეორე პიტსტოპი.

ამ აურზაურში ფეტელმა და ბატონმა შეინარჩუნეს ლიდერობა, მესამე ადგილზე გადავიდა ალონსო. მის უკან იყვნენ დი რესტა და ჰიულკენბერგი, რომლებმაც უებერს, პერესს, როსბერგსა და გროსჟანს გაუსწრეს. მალდონადო მეათე ადგილამდე დაეშვა, მაგრამ მალე მის მანქანას ტექნიკური პრობლემები შეექმნა და ათეულში შევიდა **ჟან-ერიკ ვერნი.**

რესტარტი 39-ე წრეზე შედგა - პილოტები აკურატულად გამოვიდნენ ბოლო მოსახვევიდან, სასტარტო სწორ მონაკვეთზე კი უებერმა აქტიურად შეუტია ჰიულკენბერგს და გაუსწრო კონკურენტს. უკან პერესმა ვერ გაუძლო როსბერგისა და გროსჟანის შეტევებს და მეცხრე ადგილზე ალმოჩნდა.

წრე დასრულებული არ იყო, რომ ავარიის გამო ისევ უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა ტრასაზე. ვერნი პერესს უტევდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ის გარე ტრაექტორიაზე გადააგდო და სწორედ ამ დროს, ჟან-ერიკს მთელი სვლით შეეჯახა მიხაელ შუმახერი.

43-ე წრეზე მეორე რესტარტი მიეცა - პირველი შეტევაში რაიკონენი წავიდა და თანაგუნდელისთვის მეექვსე ადგილის წართმევა სცადა. მეცხრე პოზიციისთვის ბრძოლაში კი ფელიპე მასამ **სენას** გაუსწრო.

ფეტელმა მაშინვე გაუსწრო ბატონს წამნახევრით, იმ დროს, როცა ალონსოც მალე ჩამორჩა ჯენსონს თითქმის ორი წამით. ესპანელის უკან შეიკრიბა მჭიდრო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ დი რესტა, როსბერგი, გროსჟანი და რაიკონენი. ამ უკანასკნელს ფელიპე მასა ავიწროებდა, მაგრამ „ლოტუსში“ გადაწყვიტეს, რომ გროსჟანს წინ უნდა გაეშვა ფინელი და თავად შეეკავებინა მასას შეტევები.

ამის შემდეგ ტრასაზე სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ფეტელმა დამაჯერებლად მოიგო კარიერაში 23-ე გრანპრი, სინგაპურში კი ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. გერმანელთან ცხრა წამი წააგო ჯენსონ ბატონმა, რომელმაც ბოლო ხუთ რბოლაში მესამე პოდიუმი მოიპოვა. ფერნანდო ალონსომ მესამე ადგილი დაიკავა - ეს მისი მერვე პოდიუმია სეზონში. კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა პოლ დი რესტამ - ის მეოთხე პოზიციაზე ალმოჩნდა.

ალონსო აგრძელებს ჩემპიონატში დამაჯერებელ ლიდერობას, თუმცა მისი უპირატესობა ოდნავ შემცირდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ის მომდევნო გრანპრის შემდეგაც შეძლებს ლიდერობის შენარჩუნებას, რადგან ჰანდიკაპი ფეტელთან 29 ქულას შეადგენს. გუშინდელმა წარუმატებლობამ ერთბაშად ორი პოზიციით ჩამოაქვეითა ლუის ჰემილტონი.



ფეტელის ტრიუმფი

*„ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული რბოლა სეზონში. მეგონა, რომ ის არასოდეს დასრულდებოდა. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად დამეხმარა ლუის ჰემილტონის გამოვარდნა. თუმცა ამ უქმეებზე ისედაც სწრაფები ვიყავით. დღეს კარგი სტარტი ავიღე, მეორე პოზიცია დავიკავე და რბოლის ლიდერს გამოვეკიდე.*

*ეს სეზონი ყველასთვის დაუჯერებელი სცენარით მიმდინარეობს. უქმეების განმავლობაში არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, რბოლის დროს კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე რომ, ეტაპები ძალიან მხიარულად მიმდინარეობს და მაყურებლისთვის საინტერესოა მოვლენებზე დაკვირვება. წინ კიდევ ბევრი რბოლაა, ჩვენს გუნდს კონკურენტუნარიანი ბოლიდი ჰყავს, ამიტომაც შევეცდებით დღევანდელი წარმატების შემდეგ ეტაპებზე განვრცობას“,* - განაცხადა ფინიშის შემდეგ ფეტელმა.

შემდეგი ეტაპი ორი კვირის შემდეგ, 7 ოქტომბერს გაიმართება - „სუზუკა“ იაპონიის გრანპრის უმასპინძლებს.

**სინგაპურის გრან-პრი. XIV ეტაპი**

**მარინა ბეი (59 წრე, 309.316 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 2:00.26,144 (2 პიტსტოპი) |
| 2(4). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +8,959 (2) |
| 3(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +15,227 (2) |
| 4(6). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +19,063 (2) |
| 5(10). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +34.784 (2) |
| 6(12). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +35,759 (2) |
| 7(8). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | +36,698 (2) |
| 8(13). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +42,829 (3) |
| 9(15). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +45,820 (2) |
| 10(14). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +50,619 (2) |
| 11(7). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +1.07,175 (3) |
| 12(21). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | +1.31,918 (2) |
| 13(18). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +1.37,141 (3) |
| 14(11). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.39,413 (3) |
| 15(20). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | +1.47,967 (3) |
| 16(22). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | +2.12,925 (2) |
| 17(24). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 1 წრე (3) |
| 18(17). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | 2 წრე (3) |
| 19(19). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | 2 წრე (4) |
| 20(16). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | 20 წრე |
| 21(9). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 20 წრე |
| 22(2). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 22 წრე |
| 23(23). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 28 წრე |
| 24(1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 36 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 194 (3 მოგება); 2. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 165 (2); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 149; 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 142 (3); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 132 (2); 6. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 119 (2); 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 93 (1); 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 82; 9. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 66; 10. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 51; 11. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 44; 12. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 43; 13. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 35; 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 31; 15. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 29 (1); 16. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 25; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 8; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 6.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 297; 2. **მაკლარენი** - 261; 3. **ფერარი** - 245; 4. **ლოტუსი** - 231; 5. **მერსედესი** - 136; 6. **ზაუბერი** - 101; 7. **ფორს ინდია** - 75; 8. **უილიამსი** - 54; 9. **ტორო როსო** - 14.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩილე**

| | |
|---|---|
| ლა სერენა-დეპ. იკიკე | 2:3 |
| პალესტინო-უნ. კონსეპსიონი | 1:0 |
| უონდერერსი-უნ. ჩილე | 2:2 |
| აუდაქსი-ანტოფაგასტა | 1:2 |
| უაჩიპატო-კობრესალი | 1:1 |
| სან ფელიპე-ო'ჰიგინსი | 1:1 |
| კობრელოა-უნ. კატოლიკა | 4:3 |
| ლა კალერა-რეინჯერსი | 2:2 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ონსე კალდასი-დეპ. კინდიო | 1:3 |
| პატრიოტასი-ჩიკო | 1:0 |
| ატ. უილა-ტოლიმა | 0:0 |
| სანტა ფე-მილიონარიოსი | 1:2 |
| დეპ. პასტო-დეპ. კალი | 3:0 |
| ატ. ნასიონალი-ინდეპენდიენტე | 2:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ემელეკი-დეპ. კიტო | 3:0 |
| დეპ. მაკარა-ლდუ კიტო | 0:2 |
| ელ ნასიონალი-ბარსელონა | 2:1 |
| ოლმედო-მანტა | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ტექ. უნივერ. | 1:2 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-რუბიო ნუ | 2:0 |
| ტაკუარი-დეპ. კარაპეგუა | 2:2 |
| ლუკენო-სერო პორტენიო | 0:0 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ფენიქსი | 2:2 |
| ხუვენტუდი-დანუბიო | 0:0 |
| პენიაროლი-სერო | 2:1 |
| პროგრესო-დეფენსორი | 1:4 |
| ელ ტანკე-რივერ პლეიტი | 1:0 |
| მონტევიდეო-სენტრალი | 1:0 |
| რასინგი-სერო ლარგო | 0:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| მონრეალი-კანზას სიტი | 0:0 |
| ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 1:1 |
| სოლტ ლეიკი-პორტლენდი | 2:1 |
| ჩიკაგო-კოლამბუსი | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-ტორონტო | 4:2 |
| სიეტლი-სან ხოსე | 1:2 |
| ფილადელფია-ჰიუსტონი | 3:1 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ატლანტი-დონბასი | 2:3 (ო) |
| დინამო (მ)-სკა | 1:3 |
| ლოკომოტივი-დინამო (რ) | 2:1 (ო) |
| ტორპედო-სპარტაკი | 3:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ლინცი-ალბა | 1:4 |
| ვენა-დორნბირნი | 4:3 (ბ) |
| ზნოიმო-ინსბრუკი | 5:3 |
| ვილახი-ზაგრები | 3:1 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 5:2 |
| ოლიმპია-გრაცი | 2:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-კრეფელდი | 3:2 |
| იზერლონი-კიოლნი | 1:3 |
| ინგოლშტადტი-აისბარენი | 5:4 |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 2:1 (ბ) |
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 4:3 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 1:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 4:2 |
| რუსენბორგი-ფრისკ ასკერი | 5:6 (ო) |
| სტორჰამარი-სტრიერნენი | 3:1 |
| ტონსბერგი-სპარტა | 4:3 (ო) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ნიტრა-ჟილინა | 4:1 |
| მარტინი-ბისტრიცა | 0:4 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 5:2 |
| კოშიცე-პიესტანი | 9:5 |
| ზვოლენი-პოპრადი | 4:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ხომუტოვი | 2:5 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 2:3 |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 1:3 |
| ლიტვინოვი-ზლინი | 1:2 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 5:4 |
| სპარტა-კლადნო | 3:4 |
| ბრნო-სლავია | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| სეპი-**მონფილსი** | 3:6, 6:1, 6:4 |
| **ცონგა**-დავიდენკო | 6:0, 3:6, 6:4 |
| **ცონგა**-სეპი | 6:1, 6:2 |

**ATP. სანქტ პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ხიმენო ტრავერო-**ფონინი** | 3:6, 4:6 |
| იუჟნი-**კლიჟანი** | 7:6, 4:6, 6:7 |
| ფონინი-**კლიჟანი** | 2:6, 3:6 |

**WTA. გუანგჯოუ**

| | |
|---|---|
| **ჰსიე**-რობსონი | 6:3, 5:7, 6:4 |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| **ვოზნიაცკი**-მაკაროვა | 6:1, 5:7, 6:4 |
| ლეპჩენკო-**კანეპი** | 4:6, 6:2, 4:6 |
| **ვოზნიაცკი**-კანეპი | 6:1, 6:0 |

**WTA. ტოკიო**

| | |
|---|---|
| ბ. ზახვალოვა-**ვინჩი** | 4:6, 6:4, 5:7 |
| მედინა გარიგესი-**ციბულკოვა** | 3:6, 6:7 |
| ვიკმაიერი-**იანკოვიჩი** | 3:6, 3:6 |
| კირსტეა-**მორიტა** | 2:6, 6:3, 2:6 |
| **მარტიჩი**-პეტკოვიჩი | 0:6, 6:4, 6:3 |

● TV პროგრამა

**24 სექტემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ატლეტიკო (მნ)-გრემიო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ლევერკუზენი-ბორუსია (მ).
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ჩელსი-სტოკი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ვერდერი-შტუტგარტი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები – გარინჩა.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-დენვერი.
**14:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-აინტრახტი.
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კაროლინ ვოზნიაცკი-კაია კანეპი. სეული. ს. კორეა.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-დენვერი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სეული. კორეა.
**12:45** სპორტ-NEWS.
**13:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. სეული. კორეა.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-მონტეპასკი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დორტმუნდი-ანდერლეხტი.
**19:00** კალათბურთი. ევროლიგა. ეფესი-ოლიმპიაკოსი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 25 | (წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 16 | 24 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 23 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 15 | 24 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 16 | 24 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 23 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 8 | 20 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1441 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6548 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6799 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2407 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **ნიკოლოზ ნეფარიძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608


სამხედრო ჟურნალი
„არსენალი"!
ინფორმაცია რომელიც
მიზანში ხვდება!
გამოდის თვეში ორჯერ!
იკითხეთ პრესის გავრცელებლებთან!
ნომრები ადგილზე მიტანით-elva.ge, ტელ: 236 26 73, 238 26 74, 238 26 76


ARTRA
ართრა
თქვენი სახსრების
ჯანმრთელობის
საფუძველი!
სრული კომფორტი
მოძრაობის დროს
• აღადგენს და აჯანსაღებს სახსრის ხრტილოვან ქსოვილს
• აყუჩებს ტკივილს და აცხრობს ანთებას სახსარში
• აუმჯობესებს მოძრაობას
გამოშვების ფორმები: ტაბლეტი N30; N60; N100;
მიღების წესი: მოზრდილებსა და ბავშვებში 15 წლის ზემოთ:
1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში პირველი სამი კვირის განმავლობაში;
1 ტაბლეტი ერთხელ დღეში მომდევნო კვირებისა და თვეების განმავლობაში
UNIPHARM
"UNIPHARM, INC" წარმომადგენლობა საქართველოში
ქ. თბილისი, შროშის ქ. №1 ბინა 5; ტელ.: 291 09 50; 223 00 82; ფაქსი: 291 09 60


ფორტუნა Fortuna
აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!
გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge
Buona fortuna
შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო
პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!
დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!
fortunacard.ge
fortuna.emoney.ge
255 55 00